კვირა, 16 დეკემბერი 1923 წ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით



№ 5 ყოველკვირეული ჟურნალი № 5

რედაქცია და კანტორა	ფასი	რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 74.	1.500.000 მანეთი ამიერ-კავკას. ბონით	ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დღის 8 ს. შუაღ. 1 ს.-დე.

„მაკრატელი“.

ერთი უმთავრესი საკითხი, რომელსაც მიმდინარე პერიოდი აყენებს ჩვენს წინაშე, ესაა „მაკრატელის“ საკითხი, საკითხი ეკონომიური კავშირისა სოფელსა და ქალაქს შორის.

მსოფლიო ომის შემდეგ „მაკრატელის“ პირები ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს.

დამოკიდებულება ფასში სოფლისა და ქალაქის ნაწარმოებთა შორის, თუ 1913 წლის ფასებს მივიღებთ 100 პროცენტათ, ძალიან დაშორდენ ერთმანეთს.

მაშინ, როცა ქალაქის ნაწარმოების ფასი გაზრდილია ომის წინა ხანასთან შედარებით რეალურად 100—250 და მეტი პროცენტით, სოფლის ნაწარმოები დაცემულია რეალურად 20—25—50 და მეტი პროცენტით.

რასაკვირველია, ეს ნიშნავს გათიშვას სოფლისა და ქალაქს შორის, გათიშვას პროლეტარიატსა და გლეხს შორის.

თუ წინედ გლეხი, ვთქვათ, ერთი ფუთი ხორბლით იყიდიდა 5—6 არშინამდე ჩითს, დღეს ერთ არშინ ჩითში მან უნდა მისცეს 3—4 ფუთი ხორბალი.

ასეთ მდგომარეობას გამოსწორება ესაჭიროება.

ჩვენი რევოლიუცია გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, თუ პროლეტარიატს მხარს უჭერს გლეხობა.

ამ ორი ძალის დაშორება, გათიშვა მოასწავებს რევოლიუციის დამარცხებას.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება დღეს ღებულობს მთელი ფედერაციის ფარგლებში საჭირო ზომებს, რომ „მაკრატლის“ პირები შეერთდენ, რომ ძველი ეკონომიური დამოკიდებულება სოფელს და ქალაქ შორის კვლავ დამყარდეს.

მიმდინარე სამეურნეო წელი დაიწყო ამ ლოზუნგით.

მართალია, ძნელია ეკონომიურ ფრონტზე ბრძოლა.

გაცილებით უფრო იოლია პოლიტიკურ ფრონტზე ბრძოლა და გამარჯვება, ვიდრე ეკონომიურ ფრონტზე.

მაგრამ უნდა მოგროვდეს მთელი კოლექტიური ცოდნა, გამოცდილება, ენერგია, ძალა, რომ დამოკიდებულება სოფლისა და ქალაქის შორის გამოსწორდეს.

დღეს ბევრი ჩვენი ამხანაგი, ყოფილი მენშევიკი ებმება საბჭოთა მუშაობაში.

ბევრი ჩვენი ამხანაგი დღეს დგება საპასუხისმგებლო ადგილზე. მას ირჩევენ საბჭოებში, აღმასკომებში და სხვა.

ამ ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყველაზე უფრო დიდი საქმე, რომელიც დაკვრითი წესით უნდა შესრულდეს, ესაა „მაკრატლის“ საკითხი.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველა იმ ფაქტორებს, რომლებიც აძვირებენ საქონელს, ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ, ბრძოლა საბჭოთა ქონების უანგარიშო ფლანგვის წინააღმდეგ.

ათასგვარ სამოქალაქო ომის ფრონტების შემდეგ, სადაც სამაგალითოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, ჩვენს წინაშე გადაიშალა გაცილებით უფრო რთული, მძიმე და ძლიერი ეკონომიური ფრონტი.

ამ ფრონტზე საჭიროა გულდასმით, დაუღალავი ბრძოლა.

და კომუნისტურ პარტიასთან ერთად ამ ფრონტზე სასტიკ ბრძოლაში უნდა ჩაებან ჩვენი ამხანაგებიც.

უნდა გვახსოვდეს, რომ უდიდესი მტერი ჩვენი რევოლიუციისა არის ეკონომიური ჩამორჩენილობა.

პოლიტიკურად გამარჯვებულებს მოველის საშინელი დამარცხება, თუ აქ არ გაათკეცდა ჩვენი მუშაობა და არ იქნა დაძლეული ეკონომიური ფრონტი.

ამიტომ ჩვენმა ამხანაგებმა თავის ყოველდღიურ მუშაობაში ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ ეს ფრონტი.

მიწის კოდექსის გარშემო.

მიწის საკითხის სწორად გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რევოლიუციის ბედისათვის. მშრომელ გლეხობას რევოლიუციაში უმთავრესად მიწის საკითხი აინტერესებს. გლეხობა იმ რევოლიუციას შეუწყობს ხელს და დაუჭერს მხარს, რომელიც მას სწორად და სამართლიანად გადაუჭრის მიწის საკითხს. ეს არის გლეხობის ალფა და ომეგა. მაგრამ თუ მიწის საკითხი მმართველმა პარტიამ ვერ გადასჭრა, ის მყისვე დაკარგავს გლეხობაში გავლენას, არა თუ გავლენას დაკარგავს, მტრადაც გადაიკიდებს მას.

ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ამ ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ მოგვცა მიწის საკითხის გლეხობის მოთხოვნილებების და სურვილების თანახმად გადაწყვეტა. ესერებმა, მენშევიკებმა ამ საკითხზე კისერიც მოიტეხეს.

ეს საკითხი სამართლიანად და მიზანშეწონილად გადასჭრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ.

უკვე გამოქვეყნდა მიწის კოდექსის პროექტი, რომლის შესახებ აზრის გამოთქმისაკენ მოუწოდებს ყველას მიწათ მოქმედების კომისარიატი. ამ კოდექსში თავმოყრილია ყველა მხარეები მიწის კანონმდებლობისა და იძლევა სრულ სურათს ჩვენი აგრარული მოძრაობისა. ამ კოდექსის განხილვამ ჩვენ ერთხელ კიდევ სავსებით და ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მიწის საკითხი გადაუჭრია ისე, რომ აქ დაკმაყოფილებულია, როგორც სასოფლო მეურნეობის განვითარების ინტერესი საერთოდ, ისე მშრომელი გლეხობის მოთხოვნილებები კერძოთ.

განვიხილოთ და დავინახავთ.

კოდექსის პროექტის ძირითადი დებულება ჩვენ გვეუბნება, რომ მთელი მიწა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ვის სარგებლობაში და განკარგულებაში არ უნდა იყოს ის, შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას. მიწით უშუალოდ სარგებლობის უფლება ეძლევა მიწის მუშას, და მიწის მუშათაგან შემდგარ კავშირს (კომუნას, ამხანაგობას და არტელს), ქალაქის მოსახლეობას და სახელმწიფო დაწესებულებებს და წარმოებებს. დანარჩენი მიწები მიწათმოქმედების კომისარიატის უშუალო განკარგულებაშია.

მიწის ყიდვა გაყიდვა აკრძალულია. შეიძლება იჯარით გაცემა, მხოლოდ შემდეგ პირობებში: როცა მეურნეს უინვენტარობისა, ან სხვა მისი დროებითი სისუსტით გამოწვეულ მიზეზისა გამო არ შეუძლია მიწის დამუშავება, ან საბჭოთა, საზოგადოებრივ სამსახურში არჩევით, ან სამხედრო სამსახურში გაწვევით, ან დროებით სამუშაოზე წასვლით არ შეუძლია თვითონ აწარმოოს მუშაობა. იჯარის ვადა სამი წლით განისაზღვრება. გამონაკლისი შეიძლება, თუ თემის აღმასკომმა იჯარის ვადა 6 წლამდე გააგრძელა. აღსანიშნავი და საყურადღებოა ამ შემთხვევაში ისიც, რომ არავის არ შეუძლია იჯარით აიღოს იმაზე მეტი მიწა, რისი დამუშავება მის და მისი ოჯახის ძალღონეს აღემატება. ეს უკანასკნელი დებულება ამართლებს იჯარას.

განსაკუთრებით საინტერესოა მიწის ნორმა. ნორმის სისწორით და ჩვენი მეურნეობის მიხედვით განსაზღვრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. და ჩვენის აზრით კოდექსის პროექტში აღნიშნული ნორმა შეიძლება ითქვას გადაჭრით, რომ სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას.

რომ ყველასათვის ნათელი იყოს, აქვე მოვიყვანთ კოდექსიის პროექტიდან იმ მუხლს, რომელიც ნორმას ეხება.

მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს გორის მაზრის მთლიან ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალის ჩრდილოეთით; დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა და გუდამაყრის ხეობისა და მუხრანისა და საგურამოს სააგარაკო რაიონებისა; თიანეთის მაზრა, გარდა მთიან ფშავ-ხევსურეთისა, თელავის მაზრა მთლად, სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის კაჩაგანის, დემურჩი-გასალინის, გიაურ-არხის, არუხლო-სარვანის და აშაგა-სარალის თემები და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს თიანეთის, სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდა მაყრის ხეობა.

მესამე რაიონს მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში ცხინვალის სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანის და საგურამოს სააგრარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი)

და მეხუთე რაიონს იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, გურია და სამეგრელო.

სააგრარო რაიონების შედგე ნილობა სოფლობით მიღებულია იგივე, რაც მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადასწყვეტს მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგია.

ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე, ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე, ხელოვნურად გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ-სათესი მიწა, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავალის მოცემა შეუძლიან.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი.

მეოთხეში—ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჩიგვნარი.

გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც მაგალითად, გზა, რიყე, ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამე, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს, ნორმაში არ ჩაითვლება.

მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე; საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითეული განსაკუთრებული და დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული 3—5 სულისაგან შემდგარი როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია, ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე. ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლე 25 წლის ასაკამდე.

მიწის ნორმა ყოფილ მესაკუთრეს დაეტოვება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

დაეტოვება მიწის სრული ნორმა: ა) ადგილობრივ მცხოვრებ შრომის უნარ დაკარგულთ და ქვრივ-ობოლთ, უკეთუ ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ, ბ) სოფლის მეურნეთ: წითელ არმიელთ, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშათა და გლეხთა წითელ-არმიელთა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამსახურეთ, როცა ისინი დროებით არიან მოწყვეტილი მეურნეობას.

დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა სასოფლო ყრილობების თანხმობით: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრის, თემის და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომელთ და დ) აგრონომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მომხსენებელთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი სასოფლო მეურნეობასთან.

ამ ნორმის მიხედვით, სახნავ-სათესი მიწა მოქცეულია მეორე კატეგორიაში, ე. ი. ნორმა არის 4 დესეტინა მიწა, ანუ 10 ქცევა. თუ ჩვენ მაგალითისათვის მოვიყვანთ დასავლეთ საქართველოს, იქ ათი ქცევა მიწა სავსებით საკმარისია. იქ იშვიათად აქვს გლეხს 8—10 ქცევა მიწა. საშუალო ფლობელობა 5—6 ქცევა სახნავი მიწაა, ხოლო დანარჩენი სახის $2—2^1/_2$. ამ რიგად აღნიშნული ნორმა სავსებით მიზანშეწონილია და გლეხობის ინტერესებთან შეგუებული. მოხდენილად და კარგადაა რაიონები გამოკვეთილი.

მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო ოჯახს, შემდეგია:

რაიონი	კატეგორია დესეტინობით 1.	2.	3.	4.
პირველი	ოთხი	ექვსი	რვა	ათი
მეორე	ოთხნახევარი	ექვსი	შვიდნახევარი	ცხრა
მესამე	სამი	ხუთი	ექვსი	შვიდნახევარი
მეოთხე	სამნახევარი	ხუთი	ექვსნახევარი	რვა
მეხუთე	ორნახევარი	ოთხი	ხუთი	ექვსი

ახლა გავეცნოთ საქალაქო ნორმას.

მიწის ნორმების დაწესებისათვის საქართველოს ყველა ქალაქები განიყოფება 3 კატეგორიათ: პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ტფილისი, ბათომი, ქუთაისი და ფოთი, მეორეს—გორი, სიღნაღი, თელავი, ახალსენაკი, ახალციხე, ჭიათურა და ოზურგეთი და მესამეს ყველა დანარჩენი ქალაქები.

პირველ კატეგორიის ქალაქი იყოფა 3 უბნათ: შიდა-უბანი, შუა-უბანი და გარეთ-უბანი, მეორე და მესამე კატეგორიის ქალაქები ორ უბნათ: შიდა-უბანი და გარეთ-უბანი.

ქალაქში მცხოვრებ ყოფილ მესაკუთრეს მიწისა, როგორც შენობიანის, ისე უშენობოსი, დაეტოვებათ შრომითი სარგებლობაში გარდა

იმ სივრცისა, რომელიც უჭირავს შენობებს, არა უმეტეს:

ქალაქები და კატეგორიები.	ზიდა-ფუბანში	შეა-ფუბანში	გარეთ ფუბანში.
	კვ. საჟ.	კვ. საჟ.	
ტფილისში და ბათომში.	200	400	1—1½ დეს. იმის მიხედვით, თუ რამდენია დაზორული მიწა ქალაქის ცენტრიდან.
ქუთაისში და ფოთში	300	600	2 დესეტინა.
მეორე კატეგორიის ქალაქებში	600	—	იმდენი, რამდენიც დაუსახლებელია მეზობელ სოფლებისგან.
მესამე კატეგორიის ქალაქებში	900	—	

ქალაქში მცხოვრებ მიწის მუშა ოჯახს, რომლის ერთად-ერთი საცხოვრებელი წყარო არის სასოფლო მეურნეობა, უნდა დაეტოვოს სოფელში კანონიერი მიწის ნორმა იმ სივრცის გამოკლებით, რომელიც მას დაეტოვა ქალაქში, უკეთუ სოფელში მიწას ის ამუშავებს საკუთარი შრომით.

ქალაქის დაყოფას უბნებათ აწარმოებს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

იმ მიწებს გარდა, რაც დატოვებული იქნება ნორმაში, ყველა დანარჩენი, ქალაქის ფარგლებში მდებარე მიწა გადადის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში და შეადგენს ქალაქის საადგილმამულო ფონდს.

თვითეულ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი შეიმუშავებს საადგილმამულო ფონდის სარგებლობის სათანადო წესს, რომელსაც ამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

მიწათმოწყობის ქალაქის ფარგლებში აწარმოებს ქალაქის აღმასკომი.

მიწათმოქმედებისა და შინაგან საქმეთა კომისარიატებს უფლება აქვთ ურთიერთშორის შეთანხმებით გამოსცენ წესები და ინსტრუქციები ამ კანონის განსახორციელებლათ.

ეს ნორმაც სავსებით დამაკმაყოფილებელია. მენშევიკების დროს აგრარულმა რეფორმამ ქალაქის ფარგლებში ერთი აურ-ზაური გამოიწვია. ყველა იმ ქალაქებში, რომელნიც 1917 წელს „გაქალაქდენ“, მიწის რეფორმა საერთო წესით იქნა გატარებული და გლეხებს, რომელნიც ქალაქის ფარგლებში იყვნენ მოყოლილნი, ჩამოართვეს სარჩო-სამადებელი. შემდეგ რაღაცა ცვლილებები შეიტანეს მიწის კანონში, მაგრამ მაინც არ იყო სწორი და სამართლიანი.

კოდექსის პროექტს კი გათვალისწინებული აქვს ეს გარემოება და მესამე კატეგორიაში აქცევს პატარ-პატარა ქალაქებს, ხოლო ასეთი ქალაქების განაპირა ადგილებს ნორმათ უწესებს იმასვე, რაც მახლობელ სოფლებს აქვთ ნორმათ. ეს დიდი პლიუსია კოდექსის.

კოდექსში გათვალისწინებულია აგრეთვე გადასახლების მომენტი და სხვ. შემდეგ ცალკე თავად არის გამოყოფილი საკითხი სამოსახლო მიწის შესახებ. აქ პირველ მუხლში ჩვენ ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმაზე თუ არა, უნდა დაეტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვად. საჟენისა ერთ ნაჭრად. სამოსახლო ადგილი საერთო მიწის ნორმაში არ ჩაითვლება“. ეს მუხლი უზრუნველყოფს იმ ხალხს უფლებას მიწაზე, ვინც სოფელში არ ცხოვრობს, მიწას არ ამუშავებს, მაგრამ მაინც დაკავშირებულია სოფელთან ამა თუ იმ სახით. ან ზაფხულობით თვითონ მიდის იქ, ან ცოლ-შვილს აგზავნის და სხვ. თანამედროვე ხანაში ამ მუხლს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ მიწაზე უფლების შესახებ ჩვენ კოდექსის პროექტში ვკითხულობთ:

სამხედრო სამსახურში მობილიზაციით ან ჩვეულებრივი წესით გაწვეული, ან საბჭოთა და საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩეული მიწის მუშა არ ჰკარგავს უფლებას სამსახურში ყოფნის დროს მის ხვედრ მიწაზე; გარეთ სამუშაოზე წასვლის დროს კი ასეთი უფლება ენახება მიწის მუშას მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მისი ხვედრი მიწა, თუ მიწას მისი ოჯახის დანარჩენი წევრები არ ამუშავებენ საკუთარის შრომით, გადადის საადგილ-მამულო ორგანოების განკარგულებაში.

მიწით სარგებლობის უფლება მოისპობა: ა) როცა მიწის მუშის ოჯახის ყველა წევრი ნებაყოფლობით თავს გაანებებს მიწას, ბ) როცა ოჯახი სრულიად მოსპობს მიწაზე თავის დამოუკიდებელ მეურნეობას, გ) კომლის გადაშენებით, დ) სამუდამოთ ახალ ადგილზე გადასახლებით და წინანდელ მიწაზე დამოუკიდებელ მეურნეობის მოსპობით, ე) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრულ დანაშაულისათვის ვ) და მიწის ჩამორთმევით თანახმად კანონიერ წესებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საჭიროებისათვის (გზების, არხების გასაყვანად და სხ.).

ჩვენ მოვიყვანეთ კოდექსის პროექტიდან თითქმის უმთავრესი მუხლები. ყველა, ვინც ამ კოდექსის პროექტს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ის სავსებით შეეფერება მშრომელი გლეხობის მოთხოვნილებას და დაცულია სასოფლო მეურნეობის განვითარების ინტერესებიც. პროექტში არის ისეთი ადგილები, რომელშიაც შესაძლებელია ცვლილებები მოხდეს, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ის აუცილებლად მისაღებია და მეტად დიდი მოვლენაა საქართველოს საბჭოთა ცხოვრებაში.

ამ კოდექსით მიწის საკითხი სავსებით და მიზანშეწონილადაა გადაწყვეტილი. ეს პროექტი მაგრად ამოდებს ლაგამს საბჭოთა ყველა მტრებს და გულზე მალამოს დაადებს მის მეგობრებს.

ვ. ვ—ანი.

აგრარული რევოლუცია.

(მიწის კოდექსის პროექტის გამო).

უკანასკნელ დღეებში გამოქვეყნდა მიწის კოდექსის პროექტი. ეს პროექტი ცხოვრებაში უკვე გატარებულ ფაქტიური შემოქმედების ფორმალური დამტკიცებაა.

რუსეთშიაც და საქართველოშიაც აგრარული საკითხი უაღრესად მწვავე საკითხი იყო რევოლუციაში. ულარიბესი გლეხების, ნახევრად პროლეტარული ელემენტების რევოლუციის ფერხულში ჩაბმა აიხსნება მიწის მოპოვებისათვის ბრძოლით.

ჩვენ საქართველოში მიწის რეფორმა გავატარეთ. ნ. ხომერიკის პროექტი, რომელმაც მიზნად დაისახა ფეოდალური მიწის მფლობელობის მოსპობა, მართლაც კარგი ზომა იყო ფეოდალური მიწის მფლობელობის წინააღმდეგ, მაგრამ იგი სრულებით არ ეგუებოდა სოციალისტურ საქმეს, რადგან შეგნებულადაც ამ რეფორმას არ ჰქონია კაპიტალისტური მიწის მფლობელობის მოსპობა მიზნად. პირიქით, იგი მიზნად ისახავდა კაპიტალისტურ მიწის მფლობელობის შენახვისა და განმტკიცებას. არსებითი ცვლილება არ მოხდარა გლეხის მეურნეობაში ამ რეფორმით, რამდენათაც ნორმის სიდიდე თითქმის არ იწვევდა მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას. აგრეთვე ხსენებულ რეფორმის სულსა და გულს შეადგენდა საკუთრების ინსტიტუტის დაცვა, გამტკიცება. ამიტომ იყო, რომ რეფორმა თუ ერთი მხრივ მემამულეებს მეორე ჩამონაჭრებს ზოგიერთ შემთხვევაში უსასყიდლოთ აცლიდა, მეორე მხრივ ღარიბ გლეხობაზედ ამ ჩამონაჭრებს ყიდდა, უკეთებდენ „კუფჩას“, რომ გლეხში მესაკუთრეობის ინსტიქტი კიდევ უფრო დაეცვათ, გაეღრმავებიათ და გაეფართოებიათ.

მაშინ ჩვენ ხელმძღვანელებს ეგონათ, რომ მთელი საქართველოს გლეხობა მოითხოვს კერძო საკუთრების დატოვებას, მას სურს ხელში ჰქონდეს „კუფჩაო“ იგი წინააღმდეგია ყიდვა-გაყიდვის მოსპობის და სხ. და სხ. ეს დიდი შეცდომა იყო ჩვენს პოლიტიკაში. ფაქტები ამას მეტყველებს. როდესაც ამ კერძო საკუთრებას ვაკანონებდით, ვითომდა იმ მოტივით, რომ გლეხობის ნება-სურვილი ასეთიაო, მაშინ საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გლეხები აჯანყებით გვიმასპინძლდებოდენ, ჩვენ იძულებული ვხდებოდით გვარდია და ჯარი გაგვეგზავნა მათ დასასჯელად და გლეხობის რეაქციონერობაზედ მოგვერთო ყვირილი, როდესაც დღეს კერძო საკუთრება სამუდამოთ მოსპო საბჭოთ ხელისუფლებამ და აკრძალა ყიდვა-გაყიდვა, გლეხობა არა თუ აჯანყებას მიმართავს, არამედ სამადლობელ დეპეშებს გზავნის მთავრობის მისამართით.

ამ რიგად ჩვენი აგრარული რეფორმა იყო ერთი უდიდესი შეცდომა ჩვენი სოციალური პოლიტიკის, რომელიც მიზნად ისახავდა კაპიტალისტური მეურნეობის ფორმების გამტკიცებას. ის რეფორმა მიუღებელი აღმოჩნდა მეურნეობის თვალსაზრისით, რადგან მას არ გამოუწვევია მეურნეობის წინსვლა და მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ის მიუღებელი აღმოჩნდა გლეხობის კეთილდღეობის თვალსაზრისით, რადგან მან გლეხობა ვერ-

დააკმაყოფილა და ის მიულებელი და უდიდესი შეცდომა გამოდგა პოლიტიკურად, რადგან მან საქართველოს უბრალო მასაში მაშინდელ მთავრობას დაუკარგა ნდობა და აამხედრა მის წინააღმდეგ.

დღეს ახალი კოდექსის პროექტია წამოყენებული. ეს პროექტი მრავალ მხრით არის საინტერესო, უპირველესად ყოვლისა იგი სპობს სამუდამოთ მიწის კერძო საკუთრებას და ანაწილებს მას შრომის პრინციპის მიხედვით.

მეტად სასურველია, რომ კოდექსის პროექტი გამოშვებულია წინასწარ და საჭიროდ არის მიჩნეული მის გარშემო დისკუსიის გამართვა. სპეციალისტები და ახლოს მდგომნი ამ საკითხებთან შეიტანებენ ცვლილებებს კოდექსის პროექტში, მაგრამ არსებითად იგი უეჭველად ერთი დიდი მონაპოვარია რევოლიუციის.

ამიერიდან ჩვენ გლეხს, რომელმაც თავისი ოფლით მორწყო საქართველოს მიდამო, ეკუთვნის ის მიწა, რომელიც მან თავისი მარჯვენით უნდა დაიცოს და აამუშაოს. ამიერიდან ჩვენი სოფლის მეურნეობა იწყებს ახალ ხანას, სადაც მშრომელი თავის შრომის პროდუქტებს არავის დაუთმობს და მიწას მოიხმარს ისე, როგორც ამას მოითხოვს მეურნეობის ინტერესი და არა მემამულის ჯიბე.

რევოლიუციამ მენშევიკური აგრარული რეფორმა მრსპო და მის ადგილას აგრარული რევოლიუცია მოახდინა.

ჭეშმარიტი სოციალისტი აქ დაინახავს იმას, რასაც იგი უნდა სახავდეს, როგორც აუცილებელს.

ა. —კ—ძე.

კომპარტიაში თუ კომპარტიასთან.

(სადისკუსიოთ).

ჩვენ არაჩვეულებრივ ხანაში ვცხოვრობთ. 25 აგვისტოს პლატფორმაზე მდგომი ამხანაგები განსაკუთრებული სიმწვავით ვგრძნობთ ამას. ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებული მდგომარეობაა, ერთის მხრით წარსული ტაძრის დანგრევა, მეორეს მხრით ზოგიერთთათვის ფსიქოლოგიური სიძნელე ახალში შესვლის. მთავარი ჩვენი სალოცავი ხატი წარსულის დემოკრატიზმი იყო ანუ დემოკრატიული გზით სოციალიზმის შენება. ამის უარყოფამ პროლეტარიატის დიქტატურის მიღება გამოიწვია, რასაკვირველია, არც ერთი მენშევიკი არ უარჰყოფდა პრინციპში ამ უკანასკნელს, მაგრამ ეს დროს საკითხად იყო მიჩნეული. დრო მოვიდა და ეს პრინციპი მივიღეთ. და ჩვენს წინაშე დადგა მთელი რიგი პრაქტიკული საკითხებისა. დღეს, უმთავრესათ, მთელი ჩვენი მუშაობა მე-II-რე ინტერნაციონალის დანგრევისკენაა მიმართული. მე-II-რე ინტერნაციონალი ის მთავარი ციტადელია, რომლის წინააღმდეგ მიგვაქვს იერიშები. დარწმუნებული ვართ, ამ ციტადელს დავანგრევთ. მაგრამ ეს ჩვენი შინაური ძალებისთვის გარეშე ფრონტია. 25 აგვისტოს აქეთ ამ ციტადელს მეციხოვნენი ჩამოშორდენ ჩვენში; 25 აგვისტოს აქეთ მე-II ინტერნაციონალის ეკლესია უპატრონოთ დარჩა საქართველოში. ჩვენ არ ვიცით ჯერჯერობით თუ როგორი ეშმაკები დაეპატრონებიან ამ უპატრონო ეკლესიას, მაგრამ მის სამრეკლოზე რომ ზარების რეკვა შესწყდა, ეს ცხადია. ამის გარშემო ორი აზრი არაა.

მაგრამ არის ერთი საკითხი, რომელიც არც ისე იოლი გადასაწყვეტია, არა იმიტომ, თითქოს აქ მსოფლმხედველობის სიმძიმის საკითხი იყოს. არა! აქ სიმძიმის ცენტრი ჩვენი პარტიის ათეულ წლების ისტორიაშია. ამ ათეულმა წლებმა შექმნეს ჩვენში თავისებური ფსიქოლოგია, თავისებური ეთიკა, სულისკვეთება. აქ ლაპარაკია კომპარტიაში შესვლის შესახებ.

როდესაც რომელიმე პოლიტიკური პარტია იდეური მონასტრათ იქცევა, ეს მისი დანგრევის ნიშანია. ასე დაემართათ საქართველოს მენშევიკებს და მათ რღვევა ჯერ კიდევ 1921 წლის დამდეგს იწყეს. შეუძლებელია აზრთა სხვაობა არ იყოს არამც თუ პარტიაში, არამედ ვიწრო წრეშიაც, თუ ამ წრეს დასახული აქვს პრაქტიკული მიზნები. ეს გასაგებია. მაგრამ პარტია დისციპლინარული ბათალიონი არ არის, აქ აზრთა რანჟირი შეუძლებელია. საჭიროა მხოლოდ საერთო გეზის დაცვა.

კომპარტიაში შესვლის საკითხი არ არის არც პრინციპიალური, არც დიდი სიმძიმის საკითხი. ეს ყრილობამაც აღნიშნა. ეს დროს საკითხია. აქ მთავარი ყურადღება იმას კი არ უნდა მიექცეს, რომ პარტ-ბილეთი № ესა და ეს ჩაიდო ჯიბეში ეხლავე. უმთავრესი ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ ის 12.000 მუშა და გლეხი, დაშორდენ რა ისინი მე-2-რე ინტერნაციონალს, ჩაებან, ეხლავე ჩაებან საბჭოთა აღმშენებლობაში, ახლა ტარდება საბჭოთა არჩევნები, ჩვენ პირველათ მივდივართ არჩევნებში, მივდივართ იმისთვის, რომ კომპარტიას ამოვუდგეთ გვერდით და მასთან ერთად გავატაროთ ცხოვრებაში ის, რაც მივიღეთ 25 აგვისტოს. მაგრამ საჭიროა ახლავე ანკეტებით დავდგეთ რაიკომების კარებთან? მგონია, ეს საკითხი აწუხებს ბევრს, ძალიან ბევრს ამხანაგებს, განსაკუთრებით პროვინციაში და ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ჩვენთვის, ტფილისში მცხოვრებ ამხანაგებისთვის, ეს არ არის მტკივნეული ადგილი. აქაური მუშების ფსიქოლოგია დაზგის ტრიალს და ქარხნის საყვირის ხმას შეგუებულია, შეზრდილია. მათთვის ეს საკითხი სრულებით არ არის რევოლიუციონერობის საკითხი. სულ სხვა მდგომარეობაა პროვინციაში.

იქ გლეხური ფსიქოლოგია სჭარბობს ტფ. მუშურს ფსიქოლოგიას. იქ ეს საკითხი ტკივილს იწვევს. აქ უეჭველათ ანგარიში უნდა გაეწიოს ამ მდგომარეობას. მარქსიზმი მეთოდია, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ამ მეთოდს გამოყენება სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირათ უნდა. მე ასე ვფიქრობ, რომ ის, რაც 20—25 წლეების განმავლობაში შეადგენდა ჩვენი ამხანაგების სულიერ საუნჯეს, ერთის დაკვრით არ ამოიგლიჯება ზოგიერთის გულიდან. დრო უნდა, დრო. მთავარი მიზანი მიღწეულია. დღეს მე-2-რე ინტერნაციონალის პარტია არ არსებობს საქართველოში. საქართველოში დღეს მე-3-მე ინტერნაციონალის დროშას ამაგრებენ არა მარტო ოფიციალური კომუნისტები. მისი დიდი ძალა ჩვენცა ვართ. ეს მთავარია, ვიმეორებ.

ვიცი, ფორმალური ლოღიკის მხრით ეს პოზიცია სუსტია. მართლაც, თუ შინაარსი, ოქტომბრის შინაარსი მივიღეთ, შინაარსს ყალიბიც მოეთხოვება, ფორმა ლოღიკური და აუცილებელია. მაგრამ მე უკანა აზრით ლოღიკას ვამსხვერპლებ დიდს რევოლიუციონურს მიზანს. და ეს რევოლიუციონური მიზანი— 12.000 მუშისა და გლეხის შემონახვაა.

„შემონახვას“ო ვამბობ. და ამას იმიტომ, რომ—ასე მეჩვენება—ლოზუნგი „კომპარტიაში ორგანიზაციულათ არაა სათანადოთ მოწყობილი. ეს ლოზუნგი კოლექტიურათ უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში და არა პერსონალურათ, იქ პროვინციაში, აბა ვინ იტყვის, რომ ჩვენს ამხანაგებს მიიღებენ უპირობოთ? ვთქვათ, უარი მიიღეს მათ, მაშინ? მაშინ ელება კარები ფსიქოლოგიურ რეაქციას, მართალია, უკან 26 მაისისკენ ეს ამხანაგები არ დაბრუნდებიან, მაგრამ 25 აგვისტოზე გულ-ნატკენი დარჩებიან. პარტიის გარეშე ყოფნა პარტიაში აღზრდილისთვის ძნელია და რა პასუხს მივცემთ მაშინ იმ ამხანაგებს?

ეს პატარა საკითხია, მაგრამ ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. მე ასე ვფიქრობ. ამასთან ერთად უნდა მიღებულ იქნეს, როგორც აქტიური საკითხი. მეორე ლოზუნგი: არა მარტო კომპარტიაში, არამედ კომპარტიასთან. იმ ფსიქოლოგიის მიხედვით, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით, ეს ლოზუნგი უნდა ვაქციოთ საბრძოლველ საგნათ განსაკუთრებით იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობენ და არ მოდიან ჩვენთან. ისინი ჩვენთან მოვლენ, უეჭველია, მოვლენ და გვერდით ამოგვიდგებიან. ამაში საქმიანობის, მუშაობის ფსიქოლოგია გვარწმუნებს. მუშაობის პროცესს აქვს თავისი ფსიქოლოგია, ის აახლოვებს მომუშავეთ სულიერათ; ყოველდღიურ ურთიერთობას, ყოველდღიურ შეხვედრას და ერთ ჭაპანწყვეტას, ვთქვათ, კომუნისტებთან ერთად ის შედეგი მოყვება, რომ ის კედელი, რომელიც ფსიქოლოგიურათ ამართულია განზე მდგომ ამხანაგებსა და კომუნისტებს შორის, თანდათან დაინგრევა, მის ადგილზე სწორი ადგილი დარჩება და ერთმანეთის ხელის გაწვდენა უკვე ძნელი აღარ იქნება. ეს კი ჩვენი საბოლოო მიზანია.

რომ ამ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ანგარიში უნდა გაეწიოს, ამას ჩვენ რევოლიუციონური წარსულიც გვიჩვენებს. გავიხსენოთ თუნდა რამდენი ენერგია, ჯაფა და დრო დაიხარჯა იმისთვის, რომ გერმანეთში შეერთებულიყვნენ ლასალიანელები და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

ისიც გავიხსენოთ, რომ, როდესაც ეს გაერთიანება მოხდა, თვით მარქსმა და ენგელსმა ვერ მოინელეს ის დათმობანი, რომელზედაც წავიდენ ლიბკნეხტი, ბებელი, მოსტი, ბრაკე და სხვ.. ენგელსმა დიდი წერილიც კი მისწერა ბებელს (28 მარტს 1875 წ.) ამის შესახებ. წერილი გულის-წყრომითაა სავსე და ლასალიანთა ლიდერებს გაზენკლევერსა, გასელმანსა და ტელკეს სასტიკათ კიცხავს. მაშასადამე, იმათ, ვისაც ეს წერილი ეხება, უფრო მეტი ეპატივება.

ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ პროვინციელ ამხანაგებს თვითონვე გამოეთქვათ ამის შესახებ საკუთარი აზრი: შესაძლებელია ყველა ამხანაგები ერთნაირად არ ფიქრობენ ასეთ საკითხზე, საჭიროა მათი აზრი. აზრთა გაცვლა გამოცვლაში ნაკლების მტკივნეულობით მივაღწევთ მიზანს.

ამასთანავე ერთად არავინ არ უნდა იფიქროს, თითქოს 25 აგვისტოს პლატფორმის აღიარებით მან შეასრულა თავისი რევოლიუციონური მოვალეობა. პირიქით, მოვალეობის მოხდა რევოლიუციის წინაშე ამის აქეთ იწყება.

რ. ქორქია.

კომპარტიაშიც და კომპარტიასთანაც.

(პასუხად ამხ. რ. ქორქიას).

ამხ. ქორქია მეტად უცნაურად სვამს საკითხს: კომპარტიაში თუ კომპარტიასთან.

საკითხის ასე დასმა ყოვლად შეუძლებელია 30 აგვისტოს შემდეგ.

ამ დღეს ჩვენმა ყრილობამ მიიღო კომინტერნის პლატფორმა. ფაქტიურად ეს ნიშნავს **ჩვენს გაკომუნისტებას**.

ამიტომ არაა მართალი ამხანაგი ქორქია, როცა ამბობს თითქო ზოგიერთთათვის შექმნა „ფსიქოლოგიური სიძნელე" კომუნისტურ პარტიაში შესვლისა.

თუ ამ „ფსიქოლოგიურ სიძნელეს" ქონდა ადგილი ყრილობამდე, თუ ყრილობის დღეებში კიდევ ვინმე ყოყმანობდა, 30 აგვისტოს შემდეგ, როცა ჩვენ სრულიად მივიღეთ კომპარტიის პროგრამა, მისაღებად ვცანით მისი ტაქტიკა, საქმიანობა და დავადგინეთ, რომ არავითარ ახალ ორგანიზაციას არ ვქმნით, არამედ ვირაზმებით კომპარტიის რიგებში და კომპარტიის ირგვლივ,—აშკარაა, ამ დღეს გადაილახა ყოველგვარი „ფსიქოლოგიური სიძნელე" კომპარტიაში შესვლისა.

მაშინ, როცა დაიმსხვრა „მთავარი ჩვენი სალოცავი ხატი", ამასთან ერთად დაიმსხვრა ძველი ჩვენი ფსიქოლოგია და მოხდა დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხა კომპარტიის სასარგებლოდ.

ნუ თუ ეს ჯერ კიდევ ვინმესთვის საიდუმლოებას წარმოადგენს?

ამხ. ქორქია ამბობს:

— აქ სიმძიმის ცენტრი ჩვენი პარტიის ათეულ წლების ისტორიაშიაო.

მართალია, როცა აგვისტოს ყრილობაზე მოვდიოდით, ჩვენ ზურგზე გვქონდა მოკიდებული დიდი ცოდვები. მაგრამ ეს ცოდვები უმთავრესად „ახალი დროის" ცოდვებია.

30 აგვისტოს ჩვენ მოვიშორეთ ზურგიდან დაგროვილი ცოდვები, მივიღეთ „ნათლისღება" ახალ ემბაზში და დროა დავივიწყოთ წარსული, გავუსვათ წარსულსა და აწმყოს შორის დემარკაციული ხაზი და მაგრად დავდგეთ ახალ გზაზე.

მართალია, 12 ათასი ყოფილი მენშევიკი ერთბაშად ვერ შევა პარტიაში.

ჩვენ წინეთ ვამბობდით და ეხლაც ვამბობთ რომ ეს პროცესი დროს თხოულობს. ნაწილი შევა ეხლავე, დანარჩენები თანდათან შევლენ ამ პარტიაში.

მაგრამ ეს ფორმალური მხარეა. პარტიის ბილეთის ჯიბეში ჩადება, ეს იურიდიული საკითხია. ფაქტიურად **ჩვენ** 30 აგვისტოს შემდეგ **უკვე კომუნისტები ვართ**.

ამხ. ქორქია ამბობს:

— ლოზუნგი „კომპარტიაში" ორგანიზაციულად არაა მოწყობილიო. ეს საკითხი კოლექტიურად უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში და არა პერსონალურადო.

არ ვიცი, იყო თუ არა ჩვენი ყრილობის დროს ამხ. ქორქია თბილისში, და, საერთოდ, გაეცნო თუ არა ის ყრილობის დადგენილებებს.

ჩვენ მაშინაც ვთქვით, რომ ყოვლად შეუძლებელია 12 ათასი კაცის პარტიაში ერთბაშად მიღება.

ჩვენ, მართალია, დავდექით კომინტერნის დროშის ქვეშ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იურიდიულად ეხლავე დავირაზმოთ კომპარტიის რიგებში.

ამით ჩვენ დავანგრევდით იმ პარტიას, რომლის ხაზი, გზა ჩვენ ვცანით სწორათ.

პარტიაში იურიდიულად დარაზმისთვის საჭიროა მომზადება, შეთვისება არა მარტო კომინტერნის პლატფორმის, არამედ აგრეთვე პარტიული დისციპლინის, ტრადიციების და სხვა.

ამას დრო უნდა.

ჩვენ ავირჩიეთ ახალი გზა. მაგრამ ამ გზაზე სიარულისთვის საჭიროა მომზადება.

როცა შორეულ გზაზე ემგზავრები, ამისთვის საჭიროა ბევრი რამ აუცილებელ საგნების მომარაგება.

კომუნისტურ პარტიაში როცა შევდივართ, ჩვენც გვესაჭიროება აგრეთვე ერთგვარი სამზადისი.

ამიტომ იყო რომ ჩვენ ვერ ვცანით საჭიროთ 12 ათასი კაცის კომპარტიაში შესვლის საჭიროება ერთბაშად.

ჩვენ ვუფრთხილდებით ამ პარტიას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეხლავე დავსვათ საკითხი კატეგორიულად:

— კომპარტიაში თუ კომპარტიასთან.

ამხ. ქორქიას ეშინია:

— იქ, პროვინციაში, აბა ვინ იტყვის, რომ ჩვენს ამხანაგებს მიიღებენ უპირობოთ? ვთქვათ, უარი მიიღეს მათ, მაშინ? მაშინ ეღება კარებში ფსიხოლოგიურ რეაქციას.

არაა ეს ასე, ამხ., ქორქია!

დღეს საერთოდ დიდი სურვილია პარტიაში შესვლის. არა მარტო ყოფილი მენშევიკები, უპარტიო მასსაშიაც კი დიდი წადილია პარტიაში შესვლის.

შეიძლება, ბევრი კანდიდატად ჩასწერონ, ბევრს უთხრან—ჯერ დაიცადეთ,—მაგრამ განა ამას შეუძლია ფსიხოლოგიური რეაქციის კარების გაღება იმ ამხანაგებში, რომლებიც მოწყურებულნი არიან პარტიაში შესასვლელად? ის იმხანაგი, რომელიც მიეცემა ფსიქოლოგიურ რეაქციას მხოლოდ იმიტომ, რომ ის „უპირობოთ" არ მიიღეს კომ. პარტიაში, მართლაც არ იქნება ღირსი არა თუ პარტიაში მიღების, არამედ ყოფილ მენშევიკის სახელის ტარებისაც.

ჩვენ სრულებითაც **არ უნდა გვაინტერესებდეს მხოლოდ ფორმალური მხარე.**

ჩვენ ფაქტიური მხარე უფრო გვაინტერესებს და ფაქტიურად კი ჩვენ, 30 აგვისტოს შემდეგ, უნდა ვიყვეთ კომუნისტები. თუ არ ვართ ამისთვის მზად, უნდა მოვემზადოთ ფსიქოლოგიურად, ფაქტიურად და ყოველ მხრივ.

— მართალია ეს ამხანაგები უკან, 26 მაისისკენ არ დაბრუნდებიან, მაგრამ 25 აგვისტოზე გულნატკენი დარჩებიანო,—ამბობს ამხ. ქორქია.

აი ლოღიკა!

თუ პარტიული ბილეთი არ მისცენ, მაშინ 25 აგვისტოზე გულნატკენი დარჩებიანო.

რატომ? იმიტომ რომ 25 აგვისტომ მიიღო კომინტერნის პლატფორმა?

ნუთუ ჩვენი გადატეხის, ამ დიდი აქტის მთელი შინაარსი პხოლოთ პარტ. ბილეთი იყო?

ამხ. ქორქიას, როცა ამბობს, რომ ისინი 26 მაისისკენ არ წავლენო, ალბად, ეჭვიც ეპარება—ვაი თუ წავიდენ უკანო.

ის, ვინც გაიარა ჩვენი მუშაობის მთელი ეტაპები და ამ პოლიტიკური ბრძოლის ქარცეცხლი, ასე არასოდეს არ იტყვის.

მართალია პარტიაში აღზრდილისთვის ძნელია პარტიის გარეშე ყოფნა, მაგრამ ჩვენ ხომ მივდივართ კომუნისტურ პარტიაში! ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლა ეს ხომ კინემატოგრაფის ეკრანი არაა?

ჩვენ ყველა ჩვენ **ამხანაგებს ვურჩევთ შევიდენ კომუნისტურ პარტიაში, თუ სცნობენ თავს მომზადებულად ამ დიდ პასუხისმგებლობის მისაღებად.**

და სრულებითაც არ უნდა ეწყინოს რომელიმე ამხანაგს, თუ მას საკმაო მომზადებულად პარტიის წევრობისათვის ვერ დაინახავენ და უცებ არ მიიღებენ პარტიაში.

ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ კომპარტიაში ვიქნებით თუ კომპარტიის გარეშე, ჩვენ 30 აგვისტოს შემდეგ **ფაქტიურად კომუნისტები ვართ.**

— მაგრამ ჩვენ ვერც ისე დავსვამთ საკითხს, როგორც ამას ამხ. რ. ქორქია შვრება:

— კომპარტიაში თუ კომპარტიასთანო. ჩვენ ვირაზმებით რევოლიუციის ფართე გზაზე ლოზუნგით:

— კომპარტიაშიც და კომპარტიასთანაც.

ა. რუხაძე.

„ფორვერსტის" აღსარება.

5 წელიწადია, რაც გერმანიის სვე-ბედს განაგებს გერმანიის სოც. დემოკრატია. (კოალიციასთან, თუ უკოალიციოთ, სულ ერთია, რადგანაც არსებითად ის იყო ქვეყნის მმართველი). 5 წელია, რაც გერმანია რესპუბლიკად გამოცხადდა და ამ ხნის განმავლობაში პროლეტარიატის საქმე წინსვლის ნაცვლად, სულ უკან-უკან მიდის ს. დემოკრატიის ხელში.

არ არის ცხოვრების ისეთი დარგი, რომელსაც გაუმჯობესება დატყობოდეს. „რევოლიუციის მიღწევანი" ნულამდეა პირდაპირ დაყვანილი.

საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა რევოლიუციის წარმოება, არის „დე-

მოკრატიული“ გერმანია. აქ ყველასათვის აშკარად და ნათლად დამტკიცდა ის ჭეშმარიტება, რომ „ნაქები“ დემოკრატია ფართოდ ულებს კარს კონტრ-რევოლიუციას და რეაქციას.

მაგრამ უკეთესია ვალაპარაკოთ თვით გერმანიის სოციალ დემოკრატიის ცენტრალური ორგანო „ფორვერსტი“. ამ გაზეთმა გერმანიის რესპუბლიკად გამოცხადების 5 წლის თავზე (9 ნოემბერს) ჯამი გაუკეთა „რევოლიუციურ“ მიღწევებს და შემდეგი სურათი დახატა:

„ეკონომიურ დარგში—**კრიზისი**: წარმოებათა დახურვა, წარმოებათა მუშაობის შემცირება, ანუ სხვა სიტყვებით, უმუშევრობა და ნახევრად უმუშევრობა. მაღალი ფასები სურსათ-სანოვაგეზე. დაბალი, მერყევი ხელფასი. ხალხი შიმშილობს მაშინ, როცა ბელები სავსეა.

პოლიტიკურ დარგში—**რეაქცია**: საგანგებო წესები. ფაშისტური აჯანყება ბავარიაში. გერმანიის და ბავარიის საიმპერიო ჯარების მიერ დაკავებულ რაიონებში—ფაშისტები და კომუნისტები, საოკუპაციო ჯარებით დაკავებულ რაიონებში,—სეპარატისტები. ყველგან ჩაგვრა.

სოციალ-პოლიტიკურ დარგში: **კანონპროექტი სამუშაო დღის გადიდების შესახებ**. ჰაერში ჩამოკიდულია უკვე შესაძლებლობა ომამდე არსებულ შრომის პირობების აღდგენისა. უმუშევრობისაგან და ავათმყოფობისაგან დაზღვევის საქმე დაშლის წინაა. ინვალიდებს და მოხუცებს ისე შცირე დახმარება ეძლევათ, რომ შიმშილით კვდებიან. ყველაფერ ამის მიზანია: —„გასაჭანი ძალთა თამაშს“. მწარმოებელი ისევ უნდა გახდეს პატრონად თავის სახლში. გაუქმდეს ყველა „ხელის შემშლელი“ განკარგულებანი, შემდეგ კი მოხდება „მეუონეობის აღდგენა“.

პროფკავშირთა დარგში: **„დასუსტება“**: ფინანსიური, რადგანაც ფულის კურსი საშინლად დაეცა და უმუშევრობა გაიზარდა, დასუსტება შინაგანი-კომუნისტების მიერ შემოტანილ გახრწნის წყალობით. უსაზღვრო ნდობის და თანამშრომლობის ნაცვლად გინება გამცემლობისათვის და სხვ. სულიერი განწყობილება უიმედო და სასოწარკვეთილი.

კულტურულ დარგში:—**საშინელი გაჭირვება**: „ეკონომია“ გაზეთზე, „ეკონომია“ წიგნზე. განმანათლებელ დაწესებულებათა დახურვა, ყველა დარგში „отбой“. ნახევრად შიმშილობა. შიმშილობა ბავშთა და მოხუცთა. მქონებლებს კი არ შეაქვთ გადასახადები, მდიდრდებიან საერთო სიღატაკის ნიადაგზე და ღარიბებს აიძულებენ მოწყალება ითხოვონ. ყვავდება მხოლოდ „გამყიდველი“ („продажная“) მეცნიერება. ცრუმორწმუნოება ფართოვდება.

მუშებს მუდამ ვეუბნებოდით „შეერთდით!“ დაიცავით ერთობა მეურნეობის კაპიტალისტურ წესთან ბრძოლაში“, ხუთი წლის წინეთ უეცრად მოგვეჩვენა, თითქოს ბევრმა ეს შეიგნო. თავის მოტყუება იყო. იმათაც, ვისაც ბრისხანე მასწავლებელ ომმა რამე ასწავლა, დაავიწყდათ ყველაფერი. მათ წარმოიდგინეს, რომ შეიძლება ომმა დაუთესავად. მათ ვერ გაიგეს თავიანთი გზის დაკარგვა.

დროა გონს მოვიდეთ. ძირს ლეტარგია, ძირს სასოწარკვეთა, უიმედობა, ძირს მსოფლიო რევოლიუციური რომანტიკა, რომელსაც 8 საათის სამუშაო დღე მეტად დიდათ მიაჩნდა. ძირს ლოზუნგი „ერთიანი ფრონტის“, შექმნის. ერთიანი ფრონტი საქმეზე. დახმარებას არ უნდა ველოდეთ არც ღმერთისაგან და არც მოსკოვისაგან. თვით უნდა დავეხმაროთ თავის თავს. ჩვენ ამაში უიმედობა კი არ უნდა გვხელმძღვანელობდეს, არამედ ნათელი შეგნება მიზნისა და იმედიანობა, გამბედაობა. ჯერ კიდევ გვიან არ არის, მაგრამ უკანასკნელი დროა“.

აი სიტყვა სიტყვით „ფორვერსტი“-ს მიერ დახატული სურათი. ეს სურათი არ არის მთლიანი. არც შეუძლია „ფორვერსტს“ მეტის თქმა. დანარჩენი მკითხველმა უნდა ამოიკითხოს სტრიქონებში. აქ არაფერია ნათქვამი თვით სოც.-დემოკრატიის გახრწნა-დაშლაზე, რომელიც ამ ჟამად გერმანიაში სწარმოებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ ჟამად გერმანიის სოც.-დემოკრატია წარმოადგენს არეულ მონასტერს, სადაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ამას წინეთ ტელეგრამებმა მოგვიტანა ცნობა, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატიაში 5 ჯგუფი იბრძვისო. საქსონიის და ტიურინგიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები სხვანაირად აზროვნობენ, ხოლო ბავარიის და ბერლინის, კიდევ სხვანაირად. პრეზიდენტი ებერტი პარტიიდან გამორიცხა ლეიპციგის ორგანიზაციამ და სხვ. არას ვამბობთ „შემარცხენე“ და მემარჯვენე ფრთების შორის გამწვავებულ ბრძოლაზე და იმის შესახებ, რომ მასებს თანდათან იპყრობს კომპარტია. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ოდესღაც ძლიერი და მთელი ქვეყნის სოც.-დემოკრატიის მასწავლებელი გერმანიის ს.-დემოკრატია დღეს იშლება. „ფორვერსტის“ აღსარება ჩვენ ამის შესახებ არაფერს გვეუბნება.

მაგრამ, რაც სთქვა „ფორვერსტმა“, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ ყველამ ნათლად დაინახოს „დემოკრატიზმის სასტიკი დამარცხება. ჩვენს თვალწინაა პრაქტიკა სოციალიზმის ორი მეთოდით შენებისა: „დემოკრატიზმით“ და პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით. აი „დემოკრატიული“ გერმანია და საბჭოთა რუსეთი. პირველი დამარცხებულია ცხოვრების ყველა დარგში და სულ უკან, უკან მიდის. მეორე კი გამარჯვებულია ყველა ფრონტზე და ყოველ წუთში წინ მიდის, იზრდება. მხოლოდ ბრმებს და ჯიუტებს არ შეუძლიანთ ამის დანახვა. გერმანიის მაგალითის შემდეგ მხოლოდ მუშათა კლასის მოწინააღმდეგე ხალხი დაუწყებს ბღაუჭს დრომოჭმულ და ისტორიულად დამარცხებულ დემოკრატიზმს.

გ. ვ—ნი.

პროფმოძრაობა საქართველოში მენშევიკების დროს ჯ ეხლა

III.

საქართველოს მუშათა კლასის პროფესიონალური კავშირების წევრების უფლებები დღეს დაცულია სავსებით პროფკავშირების საშუალებით. თუ ვინმე მოინდომებს მუშის დაჩაგვრას, მას სასტიკათ მოექცევიან. მუშებს საშუალება აქვთ პროფკავშირების დახმარებით გაიუმჯობესონ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა. კავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება მეტი ხელფასი ააღებინონ წევრებს.

თუ დამქირავებლები არ დააზღვევენ მუშებს, მათ მოელით პროფკავშირების რისხვა. დღეს ყველა მუშა-მოსამსახურე დაზღვეულია. დასაზღვევი პროცენტები კი დამქირავებლებმა უნდა იხადონ. თუ მუშა ავად გახდა, ის ექვსი თვის განმავლობაში ღებულობს სრულ ჯამაგირს, თუ კიდევ ვერ მორჩა, მაშინ ღებულობს იმის და მიხედვით თუ რამდენი პროცენტი უნარი დაკარგა. აგრეთვე საექიმო დახმარებით, წამლობით სარგებლობს მშომელთა ოჯახის წევრნიც, უმუშევართ ეძლევა საგრძნობი მატერიალური დახმარება, აგრეთვე უფასო სადილი, ოთახი, სინათლე და წყალი. თუ წინეთ ნესტიან სარდაფებში გვიხდებოდა ჩვენ ცხოვრება, ბურჟუაზია კი კარგ სახლებში, ფუფუნებაში ატარებდა სიცოცხლეს, დღეს ეს ასე აღარ არის: დღეს ყველა ის კარგი სახლები მუშებით და მათი ცოლშვილით არის დასახლებული, ჩვენც გვეღირსა გალაქულ ჰერზე სიარული.

თუ წინეთ კურორტები ბურჟუა-სპეკულიანტების საკუთრებას შეადგენდა, ეხლა ისინი ჩვენ დასასვენებელ სახლებათ არის გადაქცეული. არა ერთმა და ორმა მუშამ გაიარა ამ ზაფხულს იქ და ნახა თავის თვალით ყოველივე. მცხეთა, ბორჯომი, ბაკურიანი, ცემი, სურამი და სხვ. მუშებით იყო ავსილი, რომლებსაც ეძლეოდათ უფასოდ ყველაფერი-ორ-ორი კვირის განმავლობაში.

შრომის დაცვა მშვენიერად არის დაყენებული.

კავშირებმა გაგზავნეს მუშათა ფაკულტეტებზე თავისი წევრები. კავშირებმა გახსნა სკოლები, სადაც ასობით და ათასობით სწავლობენ მუშები წერა-კითხვას. შორს აღარ არის ის დრო, როცა სრულებით აღარ გვეყოლება წერა-კითხვის უცოდინარი მუშები.

კავშირებმა შეჰქმნეს მუშებისათვის ისეთი მდგომარეობა, რომ მუშებს საშუალება გვაქვს მივიღოთ უმაღლესი სწავლა-განათლება. კავშირებში გახსნილია პოლიტიკური წრეები, სადაც მუშებს მუშურ ენაზე უხსნიან და ასწავლიან პოლიტიკურ ბრძოლას. ეს ის წრეებია, რომელსაც მუშები ვნატრობდით წინათ. ეკონომიურადაც ჩვენი მდგომარეობა ეხლა გაუმჯობესებულია ბევრად: იმდენს მაინც ვღებულობთ, რომ თეთრი პური ვჭამოთ, წინათ კი შავიც გვენატრებოდა. არავის ნებას არ აძლევენ დაიქირავოს მუშა ბირჟის გარეშე. თუ ვინმემ ითავხედა, ის პროფკავშირების რისხვას ვერ გაექცევა. არავის ნებას არ აძლევენ, რომ მშრომელი დააბეჩოს, გააძროს ტყავი, როგორც ეს ხდებოდა მენშევიკების დროს. მე, ამ სტრიქონების დამწერი, მენშევიკების დროს ვიყავი უმაღლეს პროფესიონალურ ორგანიზაციის წევრი, როგორიც იყო საქართველოს პროფკავშირების აღმასკომი და, როცა ვადარებ მაშინდელ მდგომარეობას დღევანდელთან, გულწრფელად ვაღიარებ, რომ ჩვენ ამის მეასედსაც ვერ ვაკეთებდით მუშებისათვის.

ყველა ამის შემდეგ განა ჩვენ კიდევ უნდა დავრჩენილიყავით იმ პარტიაში, რომელიც მაშინ ხელმძღვანელობდა პროფკავშირებს?—რასაკვირველია, არა. ჩვენც ასე მოვიქეცით. უარვყავით ძველი გზა და დავადექით ახალ გზას. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენთან ერთად შემოუერთდება მე-3 კომინტერნს მთელი ქვეყნის მუშები.

მაშ გაუმარჯოს ამ მუშათა მთლიან ფრონტს!

კ. თოფაძე.

საბჭოთა აპარატების გაჯანსაღება.

საბჭოთა აპარატებში ჯერ კიდევ მოიპოვება ბევრი ისეთი ელემენტი, რომელსაც ვერ მოუნელებია საბჭოთა ხელის უფლება და მზადაა პირველ შემთხვევისათანავე მახვილი ჩასცეს მას.

შეიხედეთ ჩვენს კომისარიატებში, გადაავლეთ თვალი იქ მოსამსახურეთა შემადგენლობას და თქვენ დაინახავთ დენიკინელ და კოლჩაკელ ოფიცრებს, ნაციონალისტებს, შოვინისტებს, მენშევიკებს და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერებს.

ერთი შეხედვით ეს ხალხი თითქო გაფაციცებით მუშაობს, რაღაცას აკეთებს... თავისი თვალთმაქცობით ისინი თვალებს უხვევენ ბევრ პასუხისმგებელ ამხანაგებს, რომელთაც გონია, რომ ეს ხალხი უკვე მორჯულებულია, ან ვერც კი იცნობს მათ წარსულს.

ამიტომ ასეთ ელემენტებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

დღეს საერთოდ დიდ გარდატეხას აქვს ადგილი არა მარტო უპარტიო მასსაში, ყოფილ მენშევიკებში, არამედ ინტელიგენციაშიც.

ის ხალხი, ვინც გულწრფელად მოდის დღეს ჩვენთან სამუშაოდ, ვინც ეხმარება ხელისუფლებას სახელმწიფოს გამაგრებაში, ვისაც გულში არ აქვს მტრობა და ვინც იღებს საბჭოთა სისტემას, ის მუდამ ჩვენთან ერთად იქნება, ასეთ ხალხს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მუდამ გაუფრთხილდება, მათ არ მოაკლდებათ მზრუნველობა.

პატიოსანი სპეცი, გულწრფელი მუშა, საბჭოთა სისტემის მიმღები ინტელიგენცია მუდამ იქნება ჩვენს რიგებში, მათთვის კარები გახსნილია, სამუშაო ასპარეზი გაშლილია.

მაგრამ ორგულებს, მტრებს, გაიძვერებს საბჭოთა აპარატებში არ უნდა ქონდეთ ადგილი.

ასეთი ხალხი ჯერ კიდევ ბლომათ მოიპოვება.

ასეთი ხალხი სწამლავს ატმოსფერას და ხელს უშლის საბჭოთა მთავრობას მუშაობაში.

დღეს ყოფილი მენშევიკები ბევრ ადგილას, სახელმწიფოს ბევრ აპარატებში შედიან პასუხისმგებელ მომუშავეთ.

მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ამ აპარატებში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც ჩვენ შეგვიშლიან ხელს მუშაობაში.

ასეთი ელემენტები უნდა მოშორებულ იქნან თავიდან.

მეტი კავშირი პატიოსან და გულწრფელ უპარტიოებთან, რომლებიც დგანან საბჭოთა სისტემაზე.

სასტიკი გამიჯვნა ანტისაბჭოთა ელემენტებისგან.

ამ აზრით, ამ მეთოდით შევდივართ დღეს ჩვენ საბჭოთა დაწესებულებებში.

და ამას გავატარებთ ცხოვრებაში.

ნაცნობი.

ინგლისი ახალ მთავრობის მოლოდინში.

ამ უკანასკნელ ხანებში გაზეთები გვაუწყებენ, რომ ინგლისის კონსერვატიული პარტია არჩევნებში სასტიკად დამარცხდა, რომ მან დაჰკარგა თავის პარტიული ბატონობის პრესტიჟი, პრესტიჟი ინგლისის ხალხის დიდი აბსოლიუტური უმრავლესობის სიმპატიისა ბალდვინის სახით და რომ დღეს ინგლისი უკვე ახალი მთავრობის მოლოდინშია.

დიახ, ბალდვინი კონსერვატიული პარტიითურთ დამარცხდა არჩევნებში და ეს ბუნებრივი, აუცილებელიც იყო.

როგორც ვიცით, ბალდვინმა შესცვალა ლოიდ-ჯორჯი ეს მსოფლიო კაპიტალისტური ლიბერალიზმის სულის-ჩამდგმელი. მხოლოდ აი ამ ჟამად არჩევნებში ფაქტიურად ისევ კვლავ იმარჯვებს ლოიდ-ჯორჯის ლიბერალური პარტია, მაგრამ დღეს მოკდონალდის მუშათა პარტიასთან ერთად, რომელიც ქმნის ბალდვინის მთავრობის კრიზისს და იწვევს კონსერვატიული ტაქტიკის დამარცხებას.

ინგლისის არჩევნებში დამარცხდა კონსერვატიზმი, მხოლოდ ამ ნიადაგზედ ლოიდ-ჯორჯის ლიბერალური პარტიის და მუშათა პარტიის გამარჯვება მაკდონალდის და სნოუდენის სახით,—აშკარა მღაღადებელია იმისა, რომ ინგლისში სახელმწიფოებრივ-მართველი პარტიის და კონსერვატიული ტენდენციის დამარცხება წარმოშობს საერთაშორისო სინამდვილეში ახალ სიტუაციას და ახალ სოციალ-ეკონომიურ მოვლენებს.

მხოლოდ ამ ჟამად კი ჩვენს წინაშე ისმის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ინგლისის არჩევნებში კონსერვატიული ტენდენციის დამარცხება და თუ რამ შექმნა დღეს ბალდვინის მთავრობის კრიზისი.

ერთად ერთი ძირითადი და მთავარი მიზეზი ინგლისის არჩევნებში კონსერვატიზმის დამარცხებისა ჩვენ უთუოდ უნდა ვვძიოდ ეკონომიურ სფეროში, სახელდობრ კონსერვატიზმის ეკონომიურ პოლიტიკაში—პროტექციონიზმში.

როგორც ვიცით ბალდვინის კონსერვატიული მთავრობა ეკონომიურ მიმართულებით აწარმოებდა პროტექციონისტულ პოლიტიკას.

ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას, რომელმაც თავის საკუთარ სახელმწიფოში შემოიღო განსაკუთრებით სასურსათო საგნებზე დიდი ბაჟები, შეზღუდა და თითქმის მოსპო თავისუფალი ვაჭრობა, გასწყვიტა ყოველგვარი ეკონომიური ხასიათის კავშირი სხვა და სხვა სახელმწიფოებთან და თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობის ნიადაგზედ აღმართა ჩინური კედლები, რომ მით მოეპოვებია მსოფლიო ბაზრის მონოპოლიური ბატონობა და მსოფლიო მასშტაბითვე დაემყარებია თავისი იმპერიალისტური დიქტატურა, სწადდა ამ პროტექციონისტული პოლიტიკით მსოფლიო გარდაექცია თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ კოლონიად.

მაგრამ, როგორც ვიცით, არჩევნების თანახმად ამ პროტექციონისტულმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელმაც თავისი ისტორიული შეუსაბამობით გამოიწვია თვით ინგლისში საშინელი ეკონომიური კრიზისი, გაამეფა უმუშევრობა, დასცა სამუშაო ხელფასი, გაადიდა სამუშაო დრო და შეაჩერა მრეწველობის განვითარება და სხვა,—თავისი თავი მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ საშუალო კლასებმა პირი იბრუნეს კონსერვატიზმის, ბალდვინის მთავრობისგან და არჩევნებმა მოუპოვა გამარჯვება ფრიტრედერულ ტენდენციას, სახელდობრ ლიბერალებს და ფაქტიურად მასთან კლასიურ ნიადაგზედ თანამშრომელ მაკდონალდის მუშათა პარტიას—პროტექციონიზმის და კონსერვატორიზმს წინაშე.

და აი, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ არჩევნებში ლიბერალების და მუშათა პარტიის გამარჯვება ქვეყნის უთუოდ მარცხნივ გადახრის მომასწავებელია.

ფრიტრედერულმა ტენდენციამ სძლია პროტექციონისტულ ტენდენციას.

მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მარცხნივ გადახრა და პროტექციონიზმის დამარცხება,—უთუოდ გამოიწვევს შედეგად, აგრეთვე, საბჭოთა რუსეთთან ძველ ურთიერთობის შეცვლას ახალ ურთიერთ დამოკიდებულების დამყარების სახით უკანასკნელის სასარგებლოდ.

ფრიტრედერული ეკონომიური პოლიტიკა, როგორც პოლიტიკა თავისუფალ ვაჭრობის და კონკურენციისა, როგორც პოლიტიკა არჩევნებში გამარჯვებულ ლებერალების და მუშათა პარტიისა,—უთუოდ მოგვცემს შედეგად საბჭოთა რუსეთის ფაქტიურ-იურიდიულად ცნობას, მხოლოდ ამ ნიადაგზედ კი საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარებასაც.

და ეს დიდი მონოპოვარი იქნება არა მარტო საბჭოთა რუსეთისათვის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატისათვისაც.

რატომ?

იმიტომ რომ ლიბერალურ-ფრიტრედერული პოლიტიკით გამოწვეული საბჭოთა რუსეთთან ეკონომიური კონტაქტის დამყარებას და მის ფაქტიურ-იურიდიულად ცნობას, შედეგად მოჰყვება საბჭოთა რუსეთის ეკონომიური წამოღონიერება, სოციალისტური აღმშენებლობის მიმართულებით ეკონომიური ფრონტის გამაგრება, მხოლოდ ამ ნიადაგზე კი შესაძლებელი გახდება იმ საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის გაღრმავება-განვითარება კაპიტალისტურის სამყაროს ასაფეთქებლად, რომლისათვისაც ენერგიულად და გააფთრებით იბრძვის დღეს რევოლიუციონური პროლეტარიატი 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

დიახ, საბჭოთა რუსეთი, როგორც ცენტრი და ავანგარდი მსოფლიოს სოციალისტური რევოლიუციისა,—ეკონომიური გაჯანსაღებით და ეკონომიური ფრონტის გამაგრებით მოიპოვებს მორალურ-ორგანიზაციულ გამარჯვებას ოპორტიუნისტულად განწყობილ პროლეტარიატის რიგებში და მით დაიჩქარებს ტემპს მის საბოლოო გამარჯვებისათვისაც.

ეს ერთის მხრივ.

მაგრამ მეორეს მხრივ კონსერვატიზმის დამარცხება, მხოლოდ ამ ნიადაგზედ ლიბერალიზმის და მუშათა პარტიის გამარჯვება მაკდო-

ნალდის სახით, მით არის ღირსშესანიშნავი, რომ ეს სავსებით ფარდას ახდის და მზის სინათლეზედ გამოაშკარავებს მაკდონალდ-სნოუდენების და 2-ე ნაციონალისტური ინტერნაციონალის სოც.-პატრიოტულ და სოციალშეთანხმებელ პოლიტიკას და კიდევ ერთხელ და საბოლოვოდ დაუმტკიცებს პროლეტარიატს მათ მოღალატობას მუშათა კლასისადმი.

და ამიტომაც აი აქ უნდა ვსთქვათ, რომ მიუხედავად არჩევნებში ლიბერალიზმის და მუშათა პარტიის გამარჯვებისა, ის მაინც ვერ შესძლებს ინგლისი გამოიყვანოს იმ საშინელ ეკონომიურ და სოციალურ ანარქიისაგან, რომელშიაც ის დღეს იმყოფება.

ეს გამარჯვება დროული და ეფემერულია.

თანამედროვე გარდამავალ ისტორიულ პერიოდში, იქ სადაც სასტიკი ტიტანიური ბრძოლა სწარმოებს შრომის და კაპიტალს შორის, კაპიტალიზმის ბედი სასიკვდილოდ განწირულია და ამდენადვე განწირულია ლიბერალიზმის და მაკდონალდის ოპორტიუნისტულ მუშათა პარტიის ბედიც, მიუხედავად მათი დღევანდელი გამარჯვებისა.

და აი აქ ჩვენ ვიტყვით რომ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შესძლებს ინგლისის ჩიხში ამომწყვდეულ და შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოყვანას,—ეს დრო შორს არ არის.

შ. ანდღულაძე.

მუშათა კლასის მდგომარეობა წითელი ხაზის იქით.

კაპიტალიზმის დასასრულის ჰორიზონტზე ორი მისი მესაფლავის ფიგურა იხატება. ერთი არის იმპერიალისტური ყაზარმაში გამომწყვდეული კოლონიალური ერები, ხოლო მეორე სამუშაო დაზგას ძალად მიცილებული მუშათა კლასი. არც ერთი ნაწილი საზოგადოებისა ისე არ არის მოწადინებული თანამედროვე წესწყობილების დამხობისათვის, როგორც ეს ორი ძალა.

რამდენად თანდათან აშკარა ხდება, რომ ის გიგანტიური კრიზისი, რომელსაც მსოფლიო განიცდის, არის უკანასკნელი კრიზისი კაპიტალისტური საზოგადოებისა, იმდენად უფრო მძაფრდება ბრძოლა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

როგორც დაჭრილი ვეფხვი სასიკვდილო აგონიაში მყოფი. არ დაინდობს თავის ახლო მყოფთ-ისე კაპიტალიზმი უკანასკნელ ძალღონეს ხმარობს, რათა სიცოცხლე დაიბრუნოს და დაკარგული სისხლი ათეული მილიონი მუშებიდან ამოსწოვოს.

არ არსებობს საშუალება, რომელსაც ბურჟუაზია არ იყენებდეს თავისი შერყეული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ქარხნების დაკეტვა, ხელფასის შემცირება, ფაშისტური ბანდების დარაზმვა. ერთი სიტყვით აქ მათთვის მიზანი ამართლებს ყოველგვარ საშუალებას. ბურჟუაზია დღეს მობილიზაციას ახდენს მთელი თავისი სამხედრო, საადმინისტრაციო და კულტურული ძალებისა, რათა ისტორიულად განწირული ქვეყანა იხსნას დაღუპვისაგან.

იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ომით დანგრეული ქალაქები და მთელი კუთხეები თავისი აღსადგენად საჭიროებენ ინტენსიურ შრომას-მუშის მადლიანი მარჯვენით, ამ დროს კაპიტალიზმი ისვრის უმუშევართ ქუჩაში და ათეული მილიონებს შიმშილისა და უმოქმედობის მსხვერპლად ხდის. ამაზე მეტი უგუნურობის წარმოდგენაც ძნელია. ევროპის სახელმწიფოები ათეულ მილიარდ ფრანკს დებენ უმუშევართა დასახმარებლად, თუმცა ნახევრადაც კი ვერ აკმაყოფილებენ მათ ნორმალურ მოთხოვნილებას.

თავის მხრივ უმუშევართა ქრონიკული სიმშილი ხელს უწყობს მათხოვრობის, ბოროტ მოქმედების, პროსტიტუციის და მკვდოვანობის პროცენტების გადიდებას.

ინგლისი, რომელიც ეკონომიურად სხვა ქვეყნებზე მაღლა დგას, არ შეადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

მათხოვრობა ინგლისში ერთ წელიწადში სამჯერ გაზრდილა: თუ 1920 წ. იყო 500 ათასი, 1921 წ. 1 მილ. 480 ათასი, 1922 წ. 1 მილ. 800 ათასი. თვითეული 10 ათასზე მოდის 400 მათხოვარი. გერმანიაში ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უარესია. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხალხის ფიზიკური განადგურებასთან—ნორმალური კვების მოკლების გამო.

მაგ. ამერიკული დამხმარე კომისიის ცნობებით გერმანიაში 1920—21 წ. 6—15 წლიან ბავშვების ფიზიკური მდგომარეობა საგრძნობლად შერყეული ყოფილა. საერთოდ 50% მცირე წლოვანთა ნორმალური ფიზიკური აგებულების მხრივ ვერ არის დამაკმაყოფილებელი, ხოლო იმ ადგილებში, სადაც პროლეტარული მოსახლეობა სჭარბობს, თვითეული 100 ბავშვი 65 ბავში არანორმალური ფიზიკური აგებულების პატრონია.

ყოველივე ეს შედეგია ქრონიკული და ხანგრძლივი შიმშილის, რომელიც თანამგზავრი გახდა ევროპის მუშათა კლასისა ომის შემდეგ და კერძოთ გერმანიის მუშათა კლასის.

სამრეწველო კრიზისებს თავიდანვე ახასიათებდა უმუშევრობა, ხელფასის შემცირება, მუშათა კლასის მორალური დაქვეითება დ სხვა. ასე იყო ყოველთვის მთელი მე 19 საუკუნის განმავლობაში, რომელიც ეგზომ მდიდარია კრიზისებით, მაგრამ თანამედროვე კრიზისი უეჭველად გაასწრებს ყველა იმ კრიზისებს, რომელთაც ოდესღაც ქონებია ადგილი.

თუ ყოველივე კრიზისის თანამხლებია ერთის მხრივ სიმდიდრის კონცენტრაცია შეძლებულთა მხარეზე და მეორეს მხრივ სიღატაკის გაძლიერება მუშათა მასებში—თანამედროვე კრიზისის დროს იმდენად, რამდენადაც კაპიტალიზმი უახლოვდება თავისი აღსასრულს, ამდენათ დამოკიდებულება ამ ორი პოლიუსის შორის ღებულობს მკაცრ ხასიათს.

თანამედროვე კრიზისს ახასიათებს გარდა ამ ჩვეულებრივი თვისებებისა აგრეთვე ახალი ხაზებიც, როგორიც არის რთული პოლიტიკური კონიუნქტურა, სოციალ-შოვინიზმი—როგორც ხელის შემშლელი პირობა მუშათა კლასის ბრძოლაში, აგრეთვე აღსანიშნავია ერთი პარადოქსალური მოვლენა, რომ თანამედროვე კრიზისი უფრო მეტად გამოწვეულია არა იმპერიალისტური ომით, არამედ იმპერიალისტური ზავით, რომელმაც უფრო მეტი ასაფეთქებელი ნივთიერებანი დააგროვა ევროპაში, ვინემ იყო 1914 წელს.

დღეს ევროპაში ორგვარი ქვეყნებია ფულის ერთეულის სიმტკიცის მხრივ. იმ ქვეყნებში, სადაც ვალიუტა მაღალია იქ კრიზისი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზებით, ვინემ იმ ქვეყნებში, სადაც ვალიუტის კურსი დაცემულია. თუ პირველში კრიზისი აღმოცენდა იმით, რომ მაღალი ვალიუტის გამო სხვა ქვეყნებმა ვეღარ შეიძინეს მათი ნაწარმოები და შედეგად მივიღეთ ქარხნების დაკეტვა წარმოების შემცირება—რამაც თავისი მხრივ დაბადა უმუშევრობა. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ვალუტის კურსი დაცემული იყო, ომის შემდეგ წარმოება გამოცოცხლდა, ვინაიდან სასარგებლო შეიქნა უცხოეთში გატანა ადგილობრივი ნაწარმოების—მაგრამ მალე ამ ქვეყნებშიაც თავი იჩინა კრიზისმა, რაიც თავის მხრივ ვერსალის ზავის პირობებმა გამოიწვია. მაგ. გერმანიაში უმუშევრობა გაჩნდა იმიტომ, რომ აუარებელი ვალების გადახდამ, რომელიც გერმანიას დააკისრეს—დასცა მარკის კურსი, მოიშალა შინაური ბაზარიც, შეუძლებელი შეიქნა ნორმალური შეძენა ნედლეულის და აგრეთვე დაეცა მოსახლეობის შემსყიდველობითი ძალა, ყოველივე ამას მოყვა წარმოების შეჩერება და უმუშევართა ლეგიონების გაჩენა.

თუ რა დამოკიდებულებაშია ვალიუტის კურსის სიდიდე შრომის ხელფასთან, ამისათვის მოვიყვან შემდეგ ცხრილს, ერთი და იგივე კატეგორიის მუშები სხვა და სხვა ქვეყნებში, სადაც ვალიუტს კურსი სხვადასხვაა, ერთი და იგივე რაოდენობის პროდუქტების შესაძენად საჭიროა:

ინგლისში	გერმანიაში	საფრანგეთში	ბელგიაში	შეერთ. შტატ.
3 საათ. შრომა	$7^1/_4$ საათ.	$5^1/_2$ საათ.	6 საათ.	1 საათ.

შემსყიდველობითი ძალა გერმანელი მუშის 2—3 ჯერ ნაკლებია ინგლისელზე და 4—5 ჯერ ნაკლებია ამერიკელზე. ეხლა თუ ჩვენ გვინდა შევადაროთ გერმანიისა და მისი მეზობელ ქვეყნების მუშების რეალური ხელფასი ამისთვის მივიღოთ ინგლისელ მუშების ხელფასი 100, მაშინ გერმ. მუშის არის 50, საფრანგეთის 65, ბელგიის 59, ხოლო შეერთ. შტატების 214. ანუ რამდენად დაბალია ვალიუტის კურსი ამა თუ იმ ქვეყნის—იმდენად მცირეა იქ შრომის ხელფასი.

ამნაირად არსად დღეს ისე ცუდ მდგომარეობაში არ არის ჩაყენებული შრომის პირობები, როგორც გერმანიაში, სადაც მუშათა კლასი მეტ შრომას ხარჯავს, ვინემ სხვა ქვეყნებში და ამავე დროს მისი რეალური ღირებულება ნახევარჯერ ნაკლებია, ვინემ მეზობელი ქვეყნების.

დღეს არც ბურჟუაზია მალავს, რომ პროლეტარიატი იძლევა შრომის ნაყოფიერების მაქსიმუმს. მაგ. ინგლისის მთავრობის ოფიციოზი „ტიმესი“ 1922 წ. ერთ-ერთ ნომერში სწერდა: „წელს სახლების აშენება ორჯერ ნაკლები ჯდება, ვინემ შარშან, რაიც აიხსნება ერთის მხრივ ხელფასის შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ ნაყოფიერობის ზრდით“.

თუ 1921 წ. ინგლისელ ნახშირის მთხრელი მუშა კვირაში იძლეოდა $3^3/_4$ ტონას, 1922 წ.

ა ტონას იძლევა. ეგევე მოვლენა უფრო ინტენსიურად ვითარდება გერმანიაში. მაგ. ერთ-ერთ ქიმიურ ქარხანაში შრომის ნაყოფიერება ასე მიმდინარეობს: თუ 1914 წ. იყო 100, 1919 წ. 94, 1920 წ. 95, 1921 წ. 102, 1922 წ. 120 და სხვ. ასეთივე მაგალითებს აქვს ადგილი მთელ რიგ მრეწველობათა დარგებში.

მიუხედავათ შრომის ნაყოფიერობის აწევისა—ევროპის მუშათა კლასის საარსებო პირობები დღითი დღე უარესდება.

შეიძლება გადაუმეტებლად ითქვას, რომ ასეთ ცუდ პირობებში ევროპის მუშათა კლასი კაპიტალიზმის განთიადის შემდეგ არასოდეს არ ყოფილა

დღეს ევროპის მუშათა კლასის ხერხემალი, შრომის ხელფასის შემცირებასა და ინტენსიური ექსპლოატაციის ზრდის სიმძიმის ქვეშ იზნიქება.

კაპიტალიზმის ასეთ თავხედობას ხელს უწყობს სოციალ-რეფორმიზმი, რომელიც, მაგ. გერმანიაში ბურჟუაზიას გვერდში ამოდგომია და მთელი სიმძიმე თანამედროვე კრიზისისა სურს მუშათა კლასზე გადაიტანოს. გილფერდინგი და ებერტის გულის სიღრმიდან ისე ამოშლილა პროლეტარიატის კლასიური ინტერესების დაცვის მოვალეობა, რომ მზათ არიან ბურჟუაზიასთან ერთად — პროლეტარიატი მსხვერპლად მიიყვანონ კაპიტალისტური სამშობლოს აღდგენის საკურთხეველზე.

თუ რუსეთის მუშათა კლასის მდგომარეობა წელს გაცილებით უკეთესია, ვინემ შარშან და საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელთა მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება—იმპერიალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიისა და სოციალ-შემთანხმებლების კოალიციით მუშათა კლასის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება.

ერთად ერთი საშუალება, რომ ევროპის პროლეტარიატმა დააღწიოს თავი ეკონომიურ და პოლიტიკურ სიბეჩავეს, რომელშიც დღეს სული ხდება, არის სოცალისტური რევოლიუციის გრიგალი, რაიც წალეკავს დაბერებულ კაპატალიზმს და მის მსახურ სოციალ-რეფორმისტებს.

ა. კალაძე.

საყოველთაო სამხედრო სწავლება.

წარსულმა იმპერიალისტურმა ომმა დაგვანახვა, რომ სამხედრო ტეხნიკის თანამედროვე განვითარების მიხედვით, ბრძოლაში მონაწილეობას იღებს არა მარტო მუდმივი ჯარი და მაშველი, არამედ მთელი ხალხი. სამხედრო ავტორიტეტების აზრით გერმანიის პირველი გამარჯვებანი იყო გამოწვეული იმით, რომ მას ომის ამ გვარი ხასიათი გათვალისწინებული ჰქონდა და მრავალრიცხოვანი მაშველი ჰყვანდა გაწვრთნილი, რასაც მოწინააღმდეგე ბანაკი მოკლებული იყო.

ამჟამად სამხედრო ტეხნიკა საშინელის სისწრაფით ვითარდება და უმჯობესდება, სამხედრო ავიაციისათვის არავითარი დაბრკოლება და შემზღუდავი ფარგლები არ არსებობს. მას შეუძლიან ყოველგან და ყოველთვის მოწინააღმდეგის ქვეყნის შუაგულში ამოჰყოს თავი და განმანადგურებელი ყუმბარებით ისეთი ზიანის მიყენება შეუძლია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება ომის შემდეგ მსვლელობაზედ.

წარსულ ომში ინგლისისა და საფრანგეთის ცენტრებს არა ერთხელ შეესიენ ჰაერიდან გერმანიის ჰაეროპლანთა ესკადრილიები და საგრძნობი არევ-დარევა შეიტანეს იქ. ომის შემდეგ ქიმიურ ჭურვებისა და მძლავრ ყუმბარების განვითარებამ საშინელის სისწრაფით წინ წაიწია და ყველა ამ საშუალებათა წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ომში არა მარტო განსაკუთრებულ ნაწილს, არამედ აქ საჭირო იქნება მთელი ხალხის შეიარაღება—სათანადო წინააღმდეგობის გასაწევად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ტეხნიკის მხრივ სუსტნი ვართ და ჩვენი მტერნი სწორედ ამით არიან ძლიერნი, როგორც ეს აღნიშნა ამხ. ტროცკიმ. აქ იბადება საკითხი იმ ძალების საუკეთესო მოხმარებისა, რაიც თავის განკარგულებაში ჰყავსთ საბჭოთა რესპუბლიკებს და იგი მათ დადებით მხარეს შეადგენს. საბჭოთა რესპუბლიკები მდიდარია მასსებით, რომელიც უკეთესათ შეიარაღებულ მტერთან ბრძოლაში უნდა გაიწვრთნას. ამ მასსების გაწვრთნა სამხედრო საქმეში მუდმივ ჯარს არ შეუძლია. წარსულმა ომმა დაგვანახა, რომ რუსეთმა მხოლოდ სამი წლის შემდეგ შესძლო ბრძოლისათვის მოემზადებია ნახევარი იმისა, რაც მას თავის განკარგულებაში ჰყავდა. მუდმივი „ძირითადი“ ჯარი ბანკროტათ აღმოჩნდა, ვინაიდან მან თავისი მოვალეობა ვერ შეასრულა. მომავალი ომი, თავის ტეხნიკურ საშუალებათა გაუმჯობესობით და ბრძოლის ახალ საშუალებათა შეტანით, ბრძოლისათვის დიდ მასსებს მოითხოვს. ომის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ხანაში ბრძოლაში მთელი ხალხი იღებს მონაწილეობას და მეომარ სახელმწიფოში „მშვიდობიანი“ ცხოვრება აღარ არსებობს, ვინაიდან სახელმწიფოს ყოველი წევრი ომის მიზნებს ასე თუ ისე ემსახურება, როგორც თავის ქონებით, შრომით, ისევე სიცოცხლითაც. ამგვარ პირობებში არც ერთ მოქალაქეს არ შეუძლია სთქვას მომავალში, რომ იგი ომიანობის შემთხვევაში ომის გარეშე იდგება, მტერს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მუდამ შეეძლება ქვეყნის შუაგულში გადმოფრინდეს და იქ გადმოსხას ჯარი, სადაც არ მოელიან მას. მეორეს მხრივ არც ერთ დიდ სახელმწიფოს, რაც გინდა მდიდარი იყოს, არ შეუძლია ჰყვანდეს მუდმივი ჯარი მთელ ტერიტორიაზედ გაფანტული. გაითვალისწინეს რა ეს მოვლენა საბჭოთა რესპუბლიკებმა, მიზნათ დაისახეს მთელი ხალხის გაწვრთნა-მომზადება სამხედრო საქმეში. ლაშქაროსან, სამილიციო ჯარის სისტემის შემოღებით, ტერიტორიალურ დივიზიების შედგენით შეიქმნება ისეთი ძალა, რომელიც მუდამ წაგვყენება შემოსეულ, მუხანათ მტერს საწინააღმდეგოთ. ყველასათვის ნათელია, თუ რა ძვირად უჯდება სახელმწიფოს მუდმივ ჯარის შენახვა და თანამედროვე ომისათვის საჭირო ბუმბერაზ მასსების შენახვა, ხომ წარმოუდგენელია თავისი სიდიდით. ამას გარდა საბჭოთა რესპუბლიკები, ეს მუშებისა და გლეხების შრომის სახელმწიფო, დამცველია მშრომელთა ინტერესებისა და ჩვენ ვიცით, რომ მუდმივ ჯარის სისტემა მათ თავის მშვიდობიან შრომას აშორებს და იგინი მოკლებული არიან ღირებულების შექმნის შეძლებას. ტერიტორიალური დივიზიების შედგენა გულისხმობს მუშათა ხელის ნაკლებათ მოცდენას და შრომისაგან დაშორებას და მოკლე ვადაში ადგილობრივ ნაწილებში სამხედრო მომზადება-გაწვრთნას. თანამედროვე ომი თავის სამხედრო ტეხნიკურ საშუალებათა სიმრავლე-სირთულით, შესწავლისათვის დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს და ის მცირე დრო, რომლის განმავლობაში ყოველი სამხედრო ვალდებული მოქალაქე იქნება ჩაბმული, ყოველივე საკითხის შეთვისებისათვის—საკმარისი არ იქნება. ეს ნაკლი შეიძლება გამოსწორდეს ჯარში გაწვევამდე მომზადების პერიოდის ხანაში. ამ საქმის სათანადოთ დასაყენებლად უნდა ჩაებას საბჭოთა რესპუბლიკების ყველა ორგანიზაციები, კომპარტია, ახალგაზრდათა კომკავშირები, პროფკავშირები და ყველა ის, ვისაც გული შესტკივა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სიმტკიცისათვის და ვისაც მიზნათ დაუსახავს მსოფლიო მუშათა და გლეხთა განთავისუფლება მტარვალებისაგან და შრომის წითელი დროშის დამკვიდრება.

ჯარში გაწვევამდე ყოველი მოქალაქე სიყრმიდან—8 წლიდან დაწყებული 16 წლამდე უნდა საერთო განათლებასთან ერთად ღებულობდეს სასწავლებლებში სამხედრო მომზადებას, რესპუბლიკების ყოველ კუთხეში უნდა იყოს გავრცელებული საყოველთაო სამხედრო სწავლება. თანახმად ახალი (პროექტის) საბჭოთა რესპუბლიკების ყოველი მოქალაქე სიყრმიდან უნდა ჩაებას სამხედრო მომზადება-გაწვრთნაში. ამ ხნის განმავლობაში 16 წლის ჰასაკამდე ახალგაზრდობა მიიღებს წარმოდგენას სამხედრო საქმეზედ, რის შემდეგ ჩაირიცხება პირველ მოსამზადებელ ხარისხში და აქ უკვე უფრო დაუახლოვდება სამხედრო საქმის ვითარებას, 17 წლიდან 19 წლის ჰასაკამდე იგი გადაირიცხება მეორე მოსამზადებელ ხარისხში და აქ მას უფრო გაუფართოვდება სამხედრო ცოდნა. ამგვარ მომზადების მიღების შემდეგ იგი უკვე გადაირიცხება მომქმედ პირველ ხარისხში და აქ კვლავ განაგრძობს თავის სამხედრო ცოდნის შეძენას.

ამგვარ პირობებში აღზრდილი ახალგაზრდობა უკვე შეიარაღებული იქნება ყველა იმ ცოდნით, რაც საჭიროა თანამედროვე მეომარისათვის და გაწვრთნილ და მჭიდრო სამხედრო ორგანიზაციით შეკავშირებულ ხალხისათვის არავითარ ხიფათს არ წარმოადგენს ტეხნიკურ საშუალებებით უკეთესათ შეიარაღებული მტრის ამხედრება, ვინაიდან ამგვარი ახალგაზრდობა აღჭურვილი სამხედრო ცოდნით და მძლავრი ორგანიზაციით მუდამ ცხვირპირს მოამტვრევს მტერს. საყოველთაო სამხედრო სწავლების გავრცელებას ყველამ უნდა შეუწყოს ხელი, ვინაიდან იგია თავდები მუშათა კლასის სიძლიერის, განმტკიცებისა და მსოფლიო ერების მონობისაგან განთავისუფლებისა.

გ. ბარნაბიშვილი.

ᲣᲑᲔᲚᲐᲓᲝ ᲒᲔᲚᲐᲓᲘ.

ერთ-ერთი იარაღი, რომლითაც ჩვენ, ყოფილებს, გვებრძვიან, არის მითითება ჩვენს რიგებში ბელადების უქონლობაზე.

— შეხედეთ, მათ რიგებში არც ერთი ძველი ბელადი არ არის. ეს გზა რომ სწორი იყოს, ერთი ბელადიც მაინც იქნებოდა იქაო. ამბობენ ასე.

ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს ბრძოლის პროცესში ვართ. ბრძოლას მუშათა კლასი აწარმოებს, როგორც მასსა, მას შეგნებული აქვს თავისი დიადი ისტორიული მისია, დანიშნულება. ის მასსიურათ დადგა ბრძოლის ხაზზე. რუსეთის ოქტომბერმა გაიმარჯვა, როგორც მასსიურმა მოძრაობამ პროლეტარიატსა და გლეხობაში. საქართველოს აგვისტომ გაიმარჯვა, როგორც მასსიურმა ინსტიქტიურმა მოძრაობამ სოც.-დემოკ. მთავარ ძალებში. ‘ჯარი დაიძრა საომრათ უსპასალაროთ. ეს ბევრს გაუკვირდა. აბა სად გაგონილა სპასალარი, ღენერალი სახლში იჯდეს და ჯარ‘ კი უმისოთ ომში გადიოდეს? წინამძღოლი, მეთაური ხომ თავია, ხომ ტვინია ჯარის, ორგანიზაციის, პარტიის და „უტვინო“ ძალა მარტო რაღას გახდება? როგორ შესძლებს გამარჯვებას? ცხადია, თუ მეთაურმა, თუ ბელადმა არ დალოცა ის, დამარცხდება.

ასე ფიქრობენ, ასე ამბობენ ბევრი ჩვენი ყოფილი ამხანაგები. და ეს რომ მარტო თეორეტიული საკითხი იყოს, ჩვენ მას ანგარიშს არ გაუწევდით. დღეს ჩვენ უშუალო ბრძოლაში ვართ ჩაბმული და ერთი კარგი პრაქტიკული ნაბიჯი ასს კარგს თეორიას მირჩევნია და ეს იმიტომ, რომ პირველი უფრო სასარგებლოა, ვიდრე მეორე. ბელადებზე საკითხი ჩვენ მიგვაჩნია პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხად, ამიტომაც შევჩერდით მასზე.

მართლაც, რა არის ბელადი? როგორ უნდა ვუყურებდეთ მას? და ისე სახიფათოა ის, რომ ჩვენს რიგებში არ არიან „ბელადები?“

დღეს ბავშვიც კი განმარტავს თუ ვინ არის ბელადი. მაგრამ საქმე განმარტებაში როდია, საქმე იმ შინაარსშია, რომელსაც მარქსისტი სდებს ამ სიტყვაში. პიროვნების როლი მარქსიზმში მინიმუმამდეა დაყვანილი. პიროვნების კულტს ჩვენს მსოფლმხედველობაში არა აქვს ადგილი. ამ იდეალისტურს კერპს ჩვენში არა ყავს ქურუმები. მაგრამ ჩვენ, მარქსისტულ პარტიას, გვყავდა და გვყავს ბელადი. მხოლოდ ბელადის პიროვნება ჩვენში კულტამდე არასოდეს არ აგვიყვანია. განსაკუთრებით ეს საქართველოს სოც.-დემოკრატიაზე ითქმის. არავის გაუკვირდეს, ეს ასე იყო. მართალია, საქართველოში არსებობს ნოე ჟორდანიას კულტი, პარტიაში მას უალრესათ ფაქიზი გრძნობით ეპყრობოდენ, მაგრამ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა—და კარდინალურ საკითხებშიაც, როდესაც პარტიის უმრავლესობა მას არ მიყვებოდა.

ორი მაგალითი.

1. როდესაც საერთაშორისო იმპერიალისტური ომი დაიწყო, პარტიის დიდი უმრავლესობა „პორაჟენცების“ ბანაკში იყო, ნ. ჟორდანია კი „ობორონცებისა“. ამის გარშემო მომხდარ კონფერენციაზე ის ერთი იცავდა ამ ოზიციას.

2. როდესაც საქართველო რუსეთს ეთიშებოდა, ნოე ჟორდანია წინააღმდეგი იყო ამისი. ის და პარტია ასცდენ ერთმანეთს და მაშინდელი ისტორიული გარდატეხის დროს ჩვენ „უბელადოთ“ დავრჩით თითქმის.

ასევე იყო წერეთელთანაც.

მაშასადამე, ჩვენში ბრმა თაყვანისცემა ბელადებისადმი არასოდეს არ ყოფილა. ჩვენ მუდამ თვალ-ხილულნი ვიყავით და გზა, რომლითაც მივდიოდით, ბელადის მიერ აღმოჩენილი ამერიკა კი არ ყოფილა, პირიქით, ჩვენს ხომალდს ჩვენი ბელადი კოლუმბის როლში თვითონ გამოუყვანია. პარტია და მუშათა კლასი ბელადს მიყვებოდენ, მაგრამ ბელადი ხშირად იმ ყავარჯენის როლს ასრულებდა, რომლითაც ადამიანი მდინარეს როდესაც გადის, გზას იკვლევს: ყავარჯენმა ღრმა ადგილი უჩვენა?—ის ფონს ეძებს. მართალია, ჩვენთვის ნოე ჟორდანია დაუშრეტელი წყარო იყო, ფას დაუდებელი განძი, ჭკუასწავლების სალარო, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმასაც გვიჩვენებს, რომ ბრმად მას ყოველთვის არ მივყვებოდით.

ასე იყო წარსულში.

ამ წარსულის მოგონებამ დღეს ჩვენ ჩვენი გზით, უყავარჯენოთ, სიარული უნდა გაგვიადვილოს. გაგვიადვილოს იმიტომ, რომ თუ უწინ გვქონია შემთხვევები საკუთარ ფეხზე დგომისა და სიარულისა, დღეს, როდესაც სამი წლის აწონ-დაწონვის შემდეგ საკუთარს, ჩვენს გზას მივაგენით და დავადექით: წაქცევის არ უნდა გვეშინოდეს. **არ წავიქცევით, ამხანაგებო, უმალ მტერი წაიქცევა, ვინემ ჩვენ, ამის თავდებია თვით ნოეს სკოლაში გამოზრდილი 12.000 მუშა და გლეხობა.**

მაგრამ სახიფათოა ჩვენთვის ის, რომ არც ერთი ბელადი ჩვენთან არ არის? ჯერ ერთი ის, რომ ჩვენ გვყავს ბელადები. ბელადი მარტო თეორეტიკოსი არ არის. ბელადი ისიცაა, ვინც კარგი და დაცდილი ორგანიზატორია, ვისაც შეუძლია ალღო აუღოს მიმდინარე მოვლენებს, საკითხებს, უნარი აქვს თავის გარშემო ატმოსფერის შექმნისა, ახალი გზის გაკვლევისა, ვისაც უკან, ამასთან ერთათ, დიდი ისტორიული მანძილი აქვს რევოლიუციონური ბრძოლაში განვლილი. ასეთი ამხანაგები ჩვენ გვყავს, ჩვენს რიგებში, რომელთაც დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ და დღეს ბელადობენ ჩვენს რიგებს. სჩანს, აქაც არ არიან მართალნი ისინი, ვინც ჩვენს „უბედურებაზე“ ლაპარაკობს, ვინც ჩვენს რევოლიუციონურს კონდუიქტში ცუდს ნიშნებს ეძებს.

ხოლო საკითხის სიმძიმის ცენტრი არც აქაა. ჩვენ ბელადი გვყავს და ისეთი ბელადი, რომ ის ყოველი ქვეყნის მუშათა კლასს დაამშვენებს. მისი არ შერცხვება თვით ნოე ჟორდანიას. **ეს ბელადი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტის 12.000 ყოფილი წევრია.** ეს ბელადი დაცდილია ბრძოლაში, გაწრთვნილია რევოლიუციის ქარ-ცეცხლში, იცნობს ციმბირს, კატორღას ბევრი მათგანი. შეიძლება, რევოლიუციონური მეცნიერების მრავალ-ტომიან წიგნებს არ დაგიწერთ, მაგრამ რევოლიუციონურ საქმეს უნაკლულოდ კი შეასრულებს. გზას არ აცდება, კლასიურს გზას. მოვლენ მასთან მისი ბელადები?—გაუხარდება, მის გულში ბოროტ ზრახვათ ადგილი არა აქვთ. სიამოვნებით დაიბრუნებს მათ, ვისაც ხვალ-ზეგ თვით ცხოვრება აიძულებს მას დაუბრუნდეს. არ მოვლენ? —არ მოვლენ, და მაშინაც განაგრძობს ის წინსვლას. ერთი წუთითაც არ შეჩერდება ბრძოლის ხაზზე. არ შეჩერდება მით უმეტეს, რომ მებრძოლ ძალთა შტაბათ მან მე-III-ე ინტერნაციონალი აღიარა. არ შეჩერდება იმიტომ, რომ მან სოციალისტური საზოგადოების დაარსება და კაპიტალისტურის დამხობა გადასწყვიტა და მის განხორციელებას შეუდგა, რასაც თვით მისი ბელადები ასწავლიდენ მას ათეულ წელთა განმავლობაში.

მაგრამ შეიძლება ის შესცდა? შეიძლება ნაადრევია ბრძოლის ხაზზე მთავარი იერიშის მიტანა?

როგორ ჰგონიათ ჩვენს ბელადებს: უნდა თუ არა ისინი იყვნენ მუშათა კლასთან მაშინაც კი, როდესაც ის სცდება? უნდა თუ არა ამოუდგენ მას გვერდით, რომ ყოველ-დღიურ მის საქმიანობაში გზა გამოუსწორონ, რჯთა ნაკლები ენერგია და ფიზიკური ძალა—ეს უკანასკნელი მთავარია მუშათა კლასისთვის—დახარჯოს მან და მეტს შედეგებს მიაღწიონ, უნდა თუ არა ეს ასე?

— უნდა, ვამბობთ გადაჭრით.

ასევე გადაჭრით ვამბობთ: თუ ბელადი დროშას ხელიდან უშვებს, ჩვენ თვითონ ვართ, როგორც კლასი, ჩვენი თავისი ბელადი.

— დავმარცხდებით?—დე, დავმარცდეთ, მაგრამ ბრძოლაში დამარცხება გვირჩევნია განზე განმდგარ გულ-ხელ-დაკრეფილობას და სამარცხვინო გადარჩენას. დღეს ჩვენსა და ძველი ქვეყნის შორის მხოლოდ ერთი ენაა—ბრძოლის ენა, გამძაფრებული ბრძოლის ენა და ამ ბრძოლაში ვინც თმილი ოთახის ფანჯრიდან გვიყურებს, ხელს მაინც ნუ გვიშლის. გაიგონონ ეს მათ, ვისაც ეხება.

არ დალოცეს ბელადებმა ეს ბრძოლა?—ჩვენ თვითონ ვლოცავთ ჩვენს გადამწყვეტს ბრძოლას. არ გვიკურთხეთ ახალი გზა ძველმა ბელადებმა?—არ შედრკეს არც ერთი გული ახალ გზაზე დამდგარ ამხანაგისა;—ჩვენ თვითონ ვაკურთხებთ ამ გზას. ჩვენ თვითონ ვართ მიმქრმელი ახალი ჩვენი შობისა, რომ ჩვენი ბრწყინვალე აღდგომა ჩვენვე ვიხილოთ. და ჩვენ გვრწამს, რომ ეს აღდგომა შორს არ არის, რომ ჩვენივე ხელით გადავაგორებთ იმ მძიმე ლოდს, რომელიც ჯერ კიდევ გვაწევს გულზე. ეს რწმენა ჩვენში რეალურ ძალას უდრის და უბელადობას გვავიწყებინებს.

ასე რომ ჯარი უბელადოთ არ გასულა საომრათ. მას წინ უძღვის ეს რწმენა და ამ რწმენისკენ მოუწოდებს მათაც, ვისაც პოლიტიკური არტახები შეუხსნია, აკვნიდან ამოსულა და საკუთარი ფეხებით სიარულს შესჩვევია.

და განა „ინტერნაციონალიც“ არ ამბობს:

არც ღმერთი, მეფე, აღარცა გმირი
ჩვენ აღარ მოგვცემს ხსნას და უფლებას:
მხოლოდ საკუთარი ჩვენი ხელებით
ჩვენ მოვიპოვებთ თავისუფლებას!!!.

რ. ქ.

ჩვენი პროლეტარული სტუდენტობა.

(მისი კვირეულის გამო).

უკანასკნელ ხანებში ქართველი სტუდენტობა წმინდა კლასიურ ხასიათს ღებულობს.

მიუხედავად იმ მრავალი დაბრკოლებებისა, რომელიც გადიტანა ჩვენმა სტუდენტობამ, ჯერ კიდევ რეაქციისა და მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათში მაინც დარჩა რევოლიუციონური სული, რომელიც დღეს თავის გამარჯვებას დღესასწაულობს.

საბჭოთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დღეს ირიცხება 10.000-მდი სტუდენტი, და მიუხედავად იმ ყოვლად აუტანელ მატერიალური პირობების, რომელშიაც ამ რიცხვიდან დიდ უმრავლესობას უხდება ცხოვრება, მშრომელი ახალგაზრდობა მაინც დიდი ენერგია და სურვილით მიისწრაფის უმაღლესი ცოდნის მიღებისაკენ.

სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელშიაც თავს იყრის მუშურ გლეხური ახალგაზრდობის დიდი უმრაკლესობა, თუ მიუმატებთ მუშათა ფაკულტეტებს—და ამბერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს, დავინახავთ, რომ მათი შემადგენლობა არსებითად შეესაბამება საბჭოთა საქართველოს ბუნებას.

ის დიდი მომავალი, რომელიც საქართველოს სტუდენტობამ უნდა გაამართლოს თავისი მეცნიერული ცოდნათა გამოყენებით სამეურნეო ცხოვრების აღორძინებაში მონაწილეობით, ნათლად ამტკიცებს იმას, რომ უკანასკნელი მაშინ გაამართლებს თავის ისტორიულ მინდობილებას, თუ მას საამისო მატერიალური საშუალება ექნება.

უმაღლესმა სასწავლებლებმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი. მან უნდა მისცეს მას წითელი სპეცები ეკონომიურსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში სამუშაოდ.

პროლეტარული სტუდენტობა მისი უდიდესი რევოლიუციონური გამოსვლებით ყოველთვის ინტიმიურად დაკავშირებული იყო მუშათა კლასის მოძრაობასთან.

მართალია, რომ სტუდენტობამ ოქტომბრის რევოლიუციას მხარი აუქცია და დროზე ვერ შეიგნო მისი აუცილებლობა, მაგრამ რუსეთში ამ განდგომას ადრე მოეღო ბოლო, ხოლო ჩვენში ნაწილობრივად დაგვიანდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ანტი-საბჭოთა პარტიები თავის მუუვალ ციხე - სიმაგრებად უნივერსიტეტს სთვლიდენ. დღეს ამგვარ ანტინომიას აღარ აქვს ადგილი.

საქართველოს ახალგაზრდობის თითქმის დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც ანტი-კომუნისტურად იყო განწყობილი, დღეს სავსებით შეგნებული ნაბიჯის გადადგმით, რომელიც გამოხატა „ახალგაზრდა მარქსისტების“ სალიკვიდაციო ყრილობის დადგენილებებში, კვლავ დაუბრუნდა რევოლიუციონურ ოჯახს და დღეს ხელი-ხელ ჩაკიდებული კომუნისტურ პარტიასთან ერთად ეწევა ენერგიულ საბჭოთა აღმშენებლობას. არა თუ საქართველოში მყოფმა ქართველთა სტუდენტობამ გაიზიარა საბჭოთა პლატფორმა, არამედ დღეევანდელი ცნობების მიხედვით გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტობაც ქმნის **„საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირს“**. საბჭოთა მთავრობა, რომელიც დღითი დღე აუმჯობესებს თავის ეკონომიურ აპარატს, ცდილობს, რომ ამ გვარ ხაზს ქართველი სტუდენტობისას სიამოვნებით შეხვდეს და იზრუნოს მისი ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა მთავრობა, საქართველოში შესძლებისდაგვარად დახმარებას უწევს თავის მომავლის მებაირახტრეებს სტიპენდიებით, მაგრამ იგულისხმება, რომ მათი მდგომარეობის ნორმალობისათვის საჭიროა კიდევ მეტი.

ქართველ სტუდენტობას ქართველი საზოგადოება სრული ინდეფერენტიზმით ხვდება გარდა მუშურ გლეხურ წრეებისა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავის მომავლის გამოპედაში. არსებობს დახმარებათა სხვადასხვა საშვალებანი.

საბჭოთა დაწესებულებებს აყავს თავიანთ მფარველობის ქვეშ სტუდენტთა განსაზღრული რიცხვი.

დიდ დახმარებას უწევს სტუდენტობას ქალაქის აღმასკომი, რომელმაც უკვე ორი სახლი დაუთმო ქართველ პროლეტარული სტუდენტობის კომისიას საერთო საცხოვრებელის მოსაწყობად. საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოება ცდილობს თავის მხრივ დაეხმაროს ქართველ პროლეტარულ სტუდენტობას კოოპერატიული აფთიაქის გახსნით. ამ მხრივ დახმარების საქმე კარგ ნიადაგზე არის დაყენებული.

ა. წ. სექტემბერში რუსეთის პროლეტარიატმა იდღესასწაულა დიდი ისტორიული მნიშვნელობის დღე. ეს იყო მუშათა ფაკულტეტის იუბილეს გადახდა.

ყველასათვის გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც პროლეტარულ კულტურისათვის აქვს მუშათა ფაკულტეტს.

რევოლიუციონური პროლეტარიატი მიისწრაფის იქითკენ, რომ დაიპყროს ყველა კულტურული საშვალებანი და მით ერთხელ და სამუდამოდ დაუგვირგვინოს თავისი გამარჯვებით.

ამ გამარჯვების პერსპექტივები კიდევ უფრო ნათელყო მოსკოვში ახლახან დასრულებულმა მეცნიერთა წარმომადგენელთა ყრილობამ, რომელმაც გამოაშკარავა ინტელიგენციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება.

საქართველოშიაც ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი. ქართველი ინტელიგენცია, რომელიც დღემდე გულგრილად და ხშირად, წინააღმდეგაც იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ცხოვრების აუცილებლობის ლოიკამ მიიყვანა იმ დასკვნამდი, რომ ისტორიული ხსნა მხოლოდ მუშათა კლასთან სოლიდაროობაშია.

ქართველი პროლეტარული სტუდენტობა, რომლის გამარჯვების უტყუარი საბუთია მისი თავგამოდებული ბრძოლა, არ ჩამორჩება რევოლიციის მონაპოვარის შესანარჩუნებლად წარმოებულ ბრძოლაში რუსეთის სტუდენტობას და მით ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის რევოლიციონური წარსულის სიდიადეს.

პროლეტარული სტუდენტობა პროლეტარული კულტურის უტყუარი თავდებია. რამდენადაც პროლეტარიატი დაინტერესებულია, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად გაძლიერებაში, იმდენადვე მისი მორიგი მიზანი ქართველი პროლეტარული სტუდენტობის ბედის გაუმჯობესება უნდა იყვეს, მეტი თანაგრძნობა ჩვენს სტუდენტობას. მეტი წახალისება მათი უმაღლესი ცოდნის მიღებისაკენ. აი რა უნდა იყვეს საქართველოს პროლეტარიატის მთავარი ამოცანა.

შ. ხ—ძე.

გერმანიის ამბების გარშემო

უმუშევრობა გერმანიაში

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა დღითი დღე კატასტროფიული ხდება.

ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში იბეჭდება წერილი „ფორვერსტის“ აღსარება, რომლიდანაც ყველასათვის აშკარა ხდება, რომ მდგომარეობა იქ იმდენად გაუვარესებულია და საშინელი, რომ თვით გერმანიის ს. დემოკრატიის ცენტრალური ორგანო იძულებულია აღიაროს, რომ მუშები შიმშილობენ, რომ საშინელი კრიზისია ყველი დარგში გამეფებული და სხვა.

წარმოებები იხურება. რაც რჩება, ისიც მცირდება. საოცრად გამრავლდა უმუშევართა რიცხვი. გაჩნდა ახალი ტიპის უმუშევრობაც. მრავალ ასეულ ათას მუშას მხოლოდ ნახევარი დღის, ან დღეში 2—3 საათის სამუშაოს მეტი არ მოეპოვება. ეს ნახევრად უმუშევრობაა.

სწორი აღრიცხვა უმუშევრებისა არ არსებობს. აღრიცხულია მხოლოდ ის უმუშევრები, რომელნიც მთავრობისაგან იღებენ დახმარებას.

ასეთ დახმარებას კი ღებულობს ძალიან მცირე ნაწილი უმუშევრებისა. ისინი შეადგენენ ყველა უმუშევრების მხოლოდ 15—20 პროცენტს.

ოფიციალური ცნობების მიხედვით დახმარებას იღებდა მთავრობიდან 1921 წლის 1-ლ იანვარს გერმანიაში 410.248 უმუშეკარი. ეს რიცხვი 1922 წ. პირველი იანვრისათვის დაეცა 165.448 მდე, ხოლო იმავე წლის 1-ლ ოქტომბერს დავიდა 16.678 კაცამდე.

1923 1-ლ იანვრისჯვის ის გაიზარდა 85.418 კაცამდე, ხოლო 1-ლ თებერვალს ის ავიდა 150-220 კაცამდე, 1-ლ მარტამდე—190,000, 1-ლ აპრილს—222.410 და ბოლოს 1-ლ მაისამდე—266.966 კაცამდე.

შემდეგ ისეე შემცირდა უმუშევართა რიცხვი და 1-ლ აგვისტოს ის უდრიდა 138.000 კაცს. შემდეგ უმუშევართა რიცხვი თანდათანობით იზრდება და 1-ლ სექტემბერს ის უდრიდა 248.724, 15 სექტემბერს—380.263, 1-ლ ოქტომბერს—514.607 და 15 ოქტომბერს—660.778 კაცს.

ნამდვილ უმუშევართა გარდა გერმანიაში არიან აგრეთვე „კურსარბეიტერები“, ე. ი. ისეთი მუშები, რომლებიც დროგამოშვებით მუშაობენ (დღეში რამოდენიმე საათს ან კვირა-

ში რამოდენიმე დღეებს), რომელთა რიცხვი გერმანიაში მილიონებს უდრის.

იმ უმუშევართა რიცხვი, რომელნიც ღებულობენ მთავრობის დახმარებას. ა. წ. 1-ლ ოქტომბერში უდრიდა 1.111.560, ხოლო 15 ოქტომბერს—1379 499 კაცს. ერთ-ერთ ბურჟუაზიული გაზეთის განცხადებით, გერმანიის დაუპყრობელ ადგილებში უდრის 2 ნახევარ მილიონ კაცს, ხოლო მეორე გაზეთის ცნობით 18 ოქტომბრისათვის „კურცარბეიტერთა“ რიცხვი უდრიდა 5—6 მილიონს.

რაც შეეხება დაპყრობილ ოლქებს, გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, ამ ოლქების მცხოვრებლები თითქმის მთლათ უმუშევრათ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან იქ ამჟამათ სწარმოებს მხოლოდ საზოგადოებრივი მუშაობა, წარმოება კი სრულიად შეჩერდა.

დახმარების მიმღებთა რიცხვი ამ ოლქებში უდრის 2 მილიონს. 4—11 ნოემბრამდე დახმარების სახით თითო უმუშევარს 21 წლისას და ზევით ეძლეოდა დღეში 63 მილიარდი მარკა და ცოლზე—50.4 მილიარდი. ოჯახიანები ამას გარდა ღებულობდენ კიდევ 23.4 მილიარდს ცოლზე და 18.6 მილიარდს თვითეულ ბავშვზე.

ოქროს მარკა ოფიციალურ ბირჟაზე ფასობდა 8 ნოემბერს 150 მილიარდი ქაღალდის მარკით

ოფიციალური კურსი კი 2—3-ჯერ ნაკლებია ბაზრის კურსთან შედარებით, ამიტომ უმუშევრებს დახმარების სახით ეძლეოდა 5—10 კაპეიკი.

გერმანიის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციების კონგრესზე ერთ-ერთმა დელეგატმა განაცხადა: „გერმანიის კაპიტალიზმი და აგრეთვე მის სამსახურში მყოფი გერმანიის მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს გაჭირვებაში მყოფთა დასახმარებლად.“ მანვე განაცხადა, რომ ჩვეულებრივი ხორცის ხმარება გერმანიაში შემცირდა 55 პროცენტით იმ დროს, როცა ძაღლის ხორცის ხმარება გაიზარდა 200 პროცენტით.

ასეთ საშინელ მდგომარეობაში იმყოფება გერმანიის მუშათა კლასი დღეს. და ამ მდგომარეობამდე ის უმთავრესად მიიყვანა ვერსალის „ზავმა.“ აქ უსათუოდ თავისი წილი გერმანიის ს. დემოკრატიასაც უძევს, ვინაიდან ის იყო ქვეყნის ბატონ-პატრონი უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ წერილში „ფორვერსტი“ აღნიშნავს, რომ გერმანიამ მოსკოვისაკენ არ უნდა გაიხედოსო. ეს არის ყალბი დებულება. გერმანიას, (იგულისხმება მთავრობა) რომ მოსკოვთან კონტაკტი დაემყარებია დროზე, მაშინ მისი საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა უსათუოდ უკეთესი იქნებოდა, ვინემ ის არის დღეს.

გერმანიის დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციების კონგრესი.

10 დეკ. ბერლინში გაიხსნა გერმანიის დამხმარე ორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან მიუნცენბერგი, ფიმმენი, ვურმი და შტეკკერტი. ჩამოვიდენ მრავალი დელეგატები და პრესის წარმომადგენლები.

გერმანიის ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა მიუნცენბერგის ორგანიზაციებს, რომლებიც ყოველდღიურათ კვებავენ 5000 კაცს.

მიუნცენბერგმა, რომელსაც მხურვალე ოვაციებით შეეგებენ, აღნიშნა რომ **გერმანიის კაპიტალიზმი და აგრეთვე მის სამსახურში მყოფი გერმანიის მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს გაჭირვებაში მყოფთა დასახმარებლად. მიუნცენბერგმა განაცხადა, რომ ჩვეულებრივი ხორცის ხმარება გერმანიაში შემცირდა 55 პროც.-ით იმ დროს, როცა ძაღლის ხორცის ხმარება გაიზარდა 200 პროცენტით. ამერიკა უარს ამბობს გერმანიის დახმარებაზე, რასაც იმით ასაბუთებს, რომ გერმანიის ბურჟუაზია თვით არავითარ ზომებს არ იღებს გერმანიის ხალხის გაჭირვების შესამსუბუქებლად.** რუსეთში შიმშილობა ბუნებრივი მიზეზებით იყო გამოწვეული, გერმანიაში კი პირიქით. წელს გერმანიაში კარგი მოსავალია. **შიმშილობის მიზეზები უნდა ვეძიოთ შინაპოლიტიკურ პირობებში.** პროცენტული რაოდენობის მხრივ, სიმშილობის შედეგებს გერმანიაში განიცდის უფრო მეტი ხალხი, ვიდრე რუსეთში. მუშები ომამდი არსებული შრომის ხელფასის 10—15 პროც.-ს იღებენ იმ დროს, როცა ფასები სურსათ-სანოვაგეზე 5-ჯერ გაიზარდა. 5 მილიონამდი მუშა მონაწილეობას არ იღებს მრეწველობაში.

ელენა შეკკერტმა აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ეგოიზმს უფრო მეტი წილი უდევს ხალხის უბედურებაში, ვიდრე პუანკარეს პოლიტიკას.

გლაუბერმა, პროლეტარული საექიმო დახმარების ორგანიზატორმა, აღნიშნა სიმშილობის ნიადაგზე ავადმყოფობათა რიცხვის ზრდა. ხშირია სიკვდილი სიმშილობის გამო, რომელთა შესახებაც სდუმს ოფიციალური სტატისტიკა.

ბურჟუაზიულმა მწერალმა პაციფისტმა პაკემ პროტესტი განაცხადა გონებრივი შრომის მუშათა ექსპლოატაციის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ მხოლოდ მწერლობის ორ პროცენტს შეუძლია იარსებოს დამოუკიდებლათ თავისი შრომით. მწერლების ერთი მესამედი ნაწილი იმაზე ნაკლებს იღებს, ვიდრე უმუშევრებს სახელმწიფოსაგან დახმარება ეძლევათ.

ფიმმენმა აღნიშნა რა, რომ ის ლაპარაკობს მხოლოდ თავისი საკუთარი სახელით, მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ კონგრესზე არ არიან პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების დელეგატები. იმ გარემოებას, რომ სხვა ქვეყნების შეკავშირებულმა მუშებმა ძლიერ ცოტა დახმარება გაუწიეს გერმანიის პროლეტარიატს, ფიმმენი ხსნის რეაქციის გაძლიერებით, რომლის ზეგავლენით შესუსტდა საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობის გრძნობა რატომ უნდა დაეხმარონ ისინი გერმანიას იმ დროს, როცა გერმანიის ბურჟუაზია თვითონ ხელს უწყობს თავისი ქვეყნის დალუპვას.

ფიმმენი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი შეცდომას უშვებს, როცა სუსტ დახმარებას უწევს გერმანიის პროლეტარიატს, რადგან საერთაშორისო პროლეტარიატის ბედი მტკიცედ არის დაკავშირებული გერმანიის პროლეტარიატის ბედთან. ფიმმენი მოუწოდებს ყველა შეგნებულ მუშებს და აგრეთვე პოლიტიკურ პარტიებს, განურჩევლად მიმართულებისა, შეუერთდენ მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწყებულ საქმეს.

კონგრესზე წაკითხულ იქმნა ლუნაჩარსკის, კლარა ცეტკინას და გერმანიის დამხმარე მთელ რიგ ორგანიზაციების მისასალმებელი დეპეშები.

გადაფასება დაიწყო.

საქართველოს ყოფილ მენშევიკების კონფერენციამ გადასახლებულ მენშევიკებშიც გამოძახილი ჰპოვა.

ამხანაგები ჯგუფობრივ იზიარებენ ყრილობის დადგენილებებს და ბრუნდებიან საქართველოში აღმშენებლობითი საქმეში ჩასაბმელად.

მკითხველთათვის, ალბად, საინტერესო იქნება სად რა პირობებში იმყოფებიან ჩვენი გადასახლებულები.

მეტი წილი გადასახლებულებისა დასახლებულია პერმის გუბერნიაში, ჩერდინის მაზრაში. ჩერდინის მაზრა წარმოადგენს განაპირა ჩრდილო კუთხეს გუბერნიისას, რომელიც დასახლებულია გარდა რუსების, პერმიაკებით და ზირიანელებით.

მოსახლეობა მეტწილად მისდევს ტყის მუშაობას, ბარჟების შენებას, ნაოსნობას, მხოლოდ წარსულ წლების შიმშილობას აქაც დაუსვამს თავისი დაღი და გლეხობა აუძულებია მიწის მუშაობისთვის მოეკიდა ხელი.

წელს გლეხობა გაფაციცებით სჭრის ტყეს და სახნავ ადგილებს ამზადებს.

შემოსავლის წყაროს წარმოადგენს იქ აგრეთვე მეურნეობა და მონადირეობა. აქ იცის აუარებელი კვერნა, ციყვი, მელა.

ჩერდინის მაზრის გლეხობა შედარებით შეძლებულად უნდა ჩაითვალოს.

აქაური გლეხობა რევოლიუციის ქარცეცხლში გამოვლილი, დღეს აქტიურად ჩაბმულია რევოლიუციონურ საქმიანობაში და საბჭოთა აღმშენებლობაში თავისი ღვაწლი შეაქვს.

ჩერდინის მაზრის გლეხობას გადატანილი აქვს რამოდენიმე კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები.

პირველ ხანებში, გლეხობა მოჯადოებული კოლჩაკის ტკბილ, შემპარავი სიტყვებით, ფართედ ეწერებოდა კ.-რევოლიუციონურ რაზმებში, მაგრამ, როდესაც თვით კოლჩაკმა და მისმა ოფიცრობამ თავიანთ მოქმედებით გამოაშკარავეს თავისი ნამდვილი ბუნება, როდესაც გლეხობამ დაინახა მათი საქმენი საგმირონი, ის გადაუდგა მათ და მათ წინააღმდეგ წითელ ლაშქარში დაირაზმა.

კოლჩაკი წარმოადგენდა დიდ ძალას, მისი სიძლიერე საფრთხეს უმზადებდა საბჭოთა ხელის უფლებას, მის 'რევოლუციონურ მონაპოვარს, მაგრამ სიცრუეს არ შეეძლო დიდხანს ემუშავნა, სინამდვილემ კოლჩაკის მისწრაფებანი მალე გამოააშკარავა და ჩერდინის მაზრა გადაიქცა კოლჩაკის და მისი ოფიცრობის სამარეთ. ნირობი, ისკორი აი ის ადგილები, სადაც მახვილი ჩასცეს კოლჩაკს.

აქედან იწყება ხალხის ჩამოშორება, აქედან იწყება გლეხების ლტოლვა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ, მისი ერთგულობა და თავგამოდება.

დღეს ჩერდინი წარმოადგენს ფრიად მაგარ კედელს, რომლის გარშემო დაიმსხვრევა ყოველივე ცდანი ბნელი ძალებისა.

აი, აქ, ამ ხალხში დასახლებულნი არიან ქართველი მენშევიკები.

აშკარაა, ეს კუთხე „ურწმუნო თომა"სთვის საინტერესო ადგილს წარმოადგენს.

აქაურ გლეხობაზე ისინი უნდა დარწმუნდენ, თუ რა შეუძლიან გააკეთოს შეკავშირებულ ძალას, თუ რა ძლიერი და შეუდრეკელია მშრომელთა კავშირი.

საბჭოთა აღმშენებლობა უნახავ ნგრევის შემდეგ, ნამეტანის ჩქარის ნაბიჯით მიესწრაფება წინ დასახულ მიზნების განხორციელებისაკენ და ყველასათვის აშკარაა, რომ მუშები და გლეხები მტლად დაედებიან და სისხლით მონაპოვარ თავისუფლებას არავის დაანებებენ.

ეს აშკარაა ქართველ გადასახლებულთათვისაც. მათ კარგად იციან, რომ რუსეთში არ არსებობს, ვერც იარსებებს ისეთი ძალა, რომელიც შესძლებს შესცვალოს დღევანდელი ხელისუფლება და თუ ამის შემდეგ მათ აჩერებს რამე, რომ ჩვენი პლატფორმა გაიზიარონ, ეს ე. წ. თავმოყვარეობაა.

შიში წარსულის წინაშე, შელახვა პირადული „მე"-სი, პირველ რიგში პირადობის დაყენება, აი ის, რაც დღემდე აჩერებს გადასახლებულთა დიდ უმრავლესობას.

არის, რასაკვირველია, სხვა საკითხებიც და განსაკუთრებით ეროვნული საკითხი, მაგრამ გადასახლებულთა უმრავლესობა გვერდს უხვევს შემცდარ გზას და ახალი გზის, სწორი გზის ძიებაშია.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ ძველი გზის გადაშინჯვა, გადაფასება გადასახლებულთა უმრავლეს ნაწილში უკვე დაწყებულია და მალე ვნახავთ, რომ ჩვენი გადასახლებული ამხანაგები დაუბრუნდებიან თავიანთ კერას და მხარში ამოუდგებიან მუშათა კლასს საერთო უღლის გასაწევათ.

პ. კავკასიძე.

ძველად და ახლა.

წარსულ აგვისტოს ყრილობის სხდომებზე და მას შემდეგაც ჩვენი ფარული და აშკარა მოწინააღმდეგენი ცდილობდენ და ცდილობენ დღესაც დაარწმუნონ საზოგადოების ზოგიერთი ნაწილები იმასში, რომ კომუნისტების დროიდან დაწყებული საქართველოს მუშათა კლასის მდგომარეობა გაუარესდა და ისინი შიმშილს და საერთოდ სხვა დიდ გაჭირვებას განიცდიან, როგორც ქალაქად ისევე სოფლად. საამისო დასაბუთებული ფაქტები მათ არ წამოუყენებიათ. ამიტომ მივეშველები მათ და მოვიყვან ჩემის მხრივ ზოგიერთ ფაქტებს. ჩვენი ყოფილი პარტიის მენშევიკურ მთავრობის დროს არც ერთს აგარაკზე არ არსებობდა არც ერთი მუშათა დასასვენებელი, ან თუ გინდ ღამის გასათენებელი სახლი. ბორჯომში მთავრობის სხვა და სხვა წევრებს და მოხელეებს აღებული ჰქონდათ მთელი სასახლეები. ჩვენ, სტამბის რამდენიმე მუშებმა (პარტიის აქტიურ წევრებმა) მივმართეთ მიწად-მოქმედების სამმართველოს თხოვნით, რათა დაეთმო ჩვენთვის ბორჯომში რომელიმე სასახლეში საცხოვრებელი საერთო ბინა. რასაკვირველია უარი მივიღეთ „ადგილის უქონლობის გამო"

ავიღოთ შესადარებლათ დღევანდელი მდგომარეობა. მცხეთის, ბორჯომის და წაღვერის დასასვენებელ სახლებით ამა წლის გასულ ზაფხულს უსარგებლია 2560 მუშას, ამ რიცხვიდან 1876 ფიზიკური მუშებია, დანარჩენი სხვა და სხვა სახის თანამშრომლები. მომავალ ზაფხულისათვის განზრახულია ამ სახლების უფრო გაფართოვება, სარძეო ფერმის დაარსება, არაზინდოში და სოხუმში სანატორიუმების შენება და სხვა ასეთი შელავათები მუშათა მდგომარეობის და ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლათ. აი სწორედ ეს ყოფილა ალბათ ზემოხსენებული „აგიტატორების" აზრით მუშათა მდგომარეობის გამაუარესებელი ფაქტები

ეს მოკლე და ფრიად შინაარსიანი ფაქტები მოვიყვანე დასამტკიცებლად იმისა, თუ როგორი წყაროებზეა საზოგადოთ დაყრდნობილი ყველა ის „ინფორმაციები", რომელსაც აკეთებენ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელემენტები. ასეთივე „ინფორმაციებით" გვაცხოვრებდენ 1921 წელს, როდესაც ლაპარაკობდენ იმას, რომ ბოლშევიკები შემოდიან ხალხის ამოსაჟლეტად და ყველაფრის პირქვე დასაყენებლადო. ეხლა მაინც, როდესაც ყველა ჩვენგანი უშუალო მოწამეა მუშათა პარტიაკომუნისტების აღმშენობლობითი საქმიან მუშაობისა, არსად და არაფერი ღირებულებას აღარ წარმოადგენენ ხსენებულ „ინფორმაციები", გარდა უბრალო ჰორიკანობისა...

ძველი მუშა.

სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე.

9 დეკემბერს დიდი ზეიმით გადახდილ იქნა სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე.

სახალხო სახლი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ხალხმა 7 საათზე იწყო თავის მოყრა სახალხო სახლის წინ და მოუთმენლად ელოდა ზეიმის გახსნას.

დიდ ძალი ხალხი დარჩა გარეთ. სახალხო სახლმა ვერთ დაიტია ყველა. ხალხი დიდხანს ტრიალებდა ქუჩაში თეატრის გარშემო.

გულნატკენი იყო, რომ ვერ მოხვდა ზეიმზე.

გაიხსნა ზეიმი. პირველად ილაპარაკა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანმა გ. ყურულაშვილმა, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც წინ გადაეღობენ თეატრს, რომ ღღევანდლამდე მოეღწია.

ხაზი გაუსვა სახალხო თეატრის ღვაწლს მუშათა გათვითცნობიერების საქმეში და განაცხადა, რომ პროფესიონალური კავშირი ყოველვვარ დახმარებას გაუწევს სახალხო თეატრს მომავალ მოღვაწეობაში.

შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაიამ მიულოცა 30 წლის იუბილე სახალხო თეატრს. ამიერ-კავკასიის ცეკის და აღმასკომის სახელით.

მან ხაზი გაუსვა სახალხო თეატრის წმინდა ხალხოსნურ მოღვაწეობას.

ამის შემდეგ დაიწყო პიესების დადგმა. პირველად დაიდგა „მსხვერპლი, მას მოყვა სხვა პიესები. სულ დამსწრეთა თვალ წინ გაიარა 20 პიესამ. რასაკვირველია, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ პიესების ზოგიერთი სანიმუშო ადგილები. შემდეგ გაიხსნა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო თითქმის ყველა წარმომადგენელი ხელოვნებისა და სხვა დაწესებულებებისა. იყვნენ ყველა მსახიობებიც, როგორც სახალხო სახლის, ისე აკადემიური თეატრის.

იყო მრავალი მილოცვები.

საქართველოს მთავრობამ გაიღო 3000 მანეთი, განათლების კომისარიატმა 2,000.000.000 მან. წერაკითხვის საზოგადოებამ 130 წიგნი საქ. პროფკაშირ. 500 ბაჯაღლოს მან. კახელ მევენახეთა კოოპერატიულმა ამხ. „კახეთმა" 30 ვედრო ღვინო. ღვინის ამხ. „საერო"-მ 100 ბაჯაღლოს მან. და 5 ვედრა ღვინო და განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტმა მთელს სეზონის განმავლობაში ყოველთვიურად 300 ბაჯაღლოს მანეთი. ზეიმი დამთავრდა დიდის აღტაცებით ღამის 3 საათზე, რის შემდეგაც გაიმართა ბანკეტი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო თეატრის 30 წლის იუბილე ღირსეულად გადიხადა საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც ეს თეატრი 30 წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა.

X

კვირიდან-კვირამდე.

წარსულ კვირას ევროპის და საბჭოთა კავშირის ყურადღების ცენტრი ინგლისის არჩევნებზე იყო შეჩერებული.

ამას წინეთ ინგლისის პარლამენტი დათხოვნილ იქნა და მთავრობამ ხალხს მიმართა ახალი არჩევნების მოსაწყობათ. ამის მიზეზი იყო უთანხმოება მთავრობის წრეებს შორის პროტექციონიზმის საკითხში.

ეს უთანხმოება პროტექციონიზმის საკითხში გამოწვეულია უმუშევრობის საკითხისადმი სხვა და სხვანაირი მიდგომით. უკანასკნელ ხანებში ინგლისში საოცრად გაიზარდა უმუშევრობა. სულ უმუშევარია 1,3 მილიონი კაცი. 60 ათასი კი ნახევრად უმუშევარია. ეს ციფრები არ არის სწორი, რადგანაც მთავრობის სტატიტიკა აღრიცხავს მხოლოდ იმათ, ვისაც დახმარება ეძლევა; მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დახმარება ძალიან მცირე ნაწილს ეძლევა. ამიტომ შეგვიძლია აშკარად ვსთქვათ, რომ უმუშევართა რაოდენობა 4 მილიონ. აღწევს ოჯახის წევრებიანათ. აქედან აშკარაა, რომ თითქმის ინგლისის მცხოვრებთა $^1/_{10}$ უმუშევრობას განიცდის. ეს კი მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და სახელმწიფოს. უმუშევართა ასეთი რაოდენობა მეტად დიდ გავლენას ახდენს მცხოვრებთა ყიდვითი უნარზე და საქონლის შინა

ბაზარზე გასაღებაზე. ამიტომ დაიბადა ორი მთავარი მიმართულება: პროტექციონიზმი, ანუ მფარველობითი სისტემა, დიდი ბაჟების დაწესება გარეშე ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე იმ მიზნით, რომ საკუთარი ნაწარმოები კონკურენციის გარეშე გასაღდეს. ამ ზომის ცხოვრებაში გატარებით ერთი ნაწილი მრეწველებისა ფიქრობდა საქონლისათვის ბაზარი გაეფართოვებია შიგნით იმპერიაში.

მეორე ნაწილი მრეწველებისა მოითხოვდა თავისუფალ ვაჭრობას, ვინაიდან პროტექციონიზმის შემოღებით გაძვირდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუკტებიც, ე. ი. საკვები მასალაც. ეს კი გამოიწვევდა ხელფასის გადიდებას. ამიტომ მათ არ უნდოდათ, რომ პროტექციონიზმი შეხებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. სოფლის მეურნენი კი პირიქით მსჯელობდნენ.

ამ რიგად დაისახა ორი მიმართულება: პროტექციონიზმის და თავისუფალი ვაჭრობის მომხრენი. პროტექციონიზმის მომხრეთ გამოდიოდა კონსერვატიული პარტია, ხოლო თავისუფალი ვაჭრობისა—ლიბერალური პარტია.

გაიმართა საარჩევნო ბრძოლა და ამ ბრძოლაში კონსერვატიული პარტია დამარცხდა. მას მოაკლდა ასამდე სავარძელი. თუ წინეთ მას პარლამენტში ჰყავდა 346 კაცი, ანუ აბსოლიუტური უმრავლესობა, ამიერიდან მათ ეს უმრავლესობა აღარ ყავთ, მისი ადგილები ჩამოირიგეს მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა, პირველს შეხვდა 39 ადგილი, ხოლო უკანასკნელს 27 ადგილი. არჩევნების შედეგი საბოლოოდ არაა გამორკვეული, მაგრამ წინასწარი ცნობებით ყველასათვის აშკარა ხდება კონსერვატორების სასტიკი დამარცხება და მუშათა პარტიის გამარჯვება. ბალდვინის კაბინეტი შეირყა, მისი რამოდენიმე მინისტრი აურჩეველი დარჩა.

და ინგლისშიაც დაიწყეს მთავრობის „ძებნა“.

პრემიერად ასახელებენ მუშათა პარტიის ლიდერ მაკდონალდს.

ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რა ნაირი მთავრობა იქნება „გამონახული“. შეიძლება ითქვას, რომ თუ კონსერვატორები და ლიბერალები შეთანხმდნენ, მაშინ შექმნიან უმრავლესობას და გაიყოფენ პორტფელებს. შეიძლება მოხდეს ლიბერალების და მუშათა პარტიის შეთანხმებაც და შესდგეს კოალიციური მთავრობა. თუმცა ამ შესაძლებლობას ნაკლები შანსები აქვს.

* * *

კომინტერნის აღმასკომის წევრმა სტიუარტმა, „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: „ეხლა ძნელი სათქმელია, თუ როგორი მთავრობა ჩაუდგება სათავეში ინგლისს ან როგორ შეიცვლება ახალ არჩევნების შემდეგ ინგლისის პოლიტიკა. ამის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ დაახლოვებით. მუშათა და ლიბერალების კოალიცია წარმოუდგენელია, მუშათა პარტია არ დათანხმდება ლიბერალებთან კოალიციაზე. რადგან განსხვავება ამ ორ პარტიის შეხედულებებს შორის ძლიერ დიდია. ესეც რომ არ იყოს, მუშათა პარტიას მომავალში შეუძლია სრულიად დამოუკიდებლად მოიპოვოს გაცილებით უფრო დიდი გამარჯვება. უფრო წარმოსადგენია კონსერვატორ ლიბერალების კოალიცია. შესაძლებელია ლიბერალებმა დაუთმონ კონსერვატორებს, როგორც უფრო ძლიერ პარტიას, სამინისტრო ადგილების მეტი ნაწილი. მუშათა პარტიის და ლიბერალების გამარჯვება მაჩვენებელია იმის, რომ ბალდვინის პოლიტიკა, რომელიც იცავდა პროტექციონიზმს და გულგრილათ ეპყრობოდა უმუშევრობას, დამარცხდა. მუშათა პარტიის და ლიბერალების გამარჯვება მოწმობს აგრეთვე ქვეყნის გადახრას მარცხნით და აგრეთვე ინგლისის არა მარტო შინაურ, არამედ საგარეო პოლიტიკის შეცვლას და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესობის სურვილს, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ინგლისის მთავრობაში ისევ კონსერვატორები დარჩებიან,—რაც ძლიერ საეჭვოა,—ისინი იძულებული იქნებიან ანგარიში გაუწიონ ინგლისის ხალხის სულიერ განწყობილებას და შესცვალონ პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ უკანასკნელის ცნობის მიზნით. პარლამენტში 3 ძლიერი პარტიის არსებობა, რომელთაც სათვითეულოდ არ აქვთ აბსოლიუტური უმრავლესობა, ამ თავითვე იმის მაჩვენებელია, რომ მთავრობა არ იქნება მტკიცე და ხანგრძლივი. პარტიათა შორის ბრძოლა გაფართოვდება და დაიჩქარებს მთავრობის დაცემას.

ამ რიგად, სულ ერთია, ვინც არ უნდა შეადგინოს ინგლისში ახალი მთავრობა, ის დიდ ხანს ვერ იარსებებს, რადგან 3 თანაბარი პარტიის არსებობა პარლამენტში ადრე გამოიწვევს კრიზისს.

ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია. ინგლისის ახალი მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან იქნება უფრო ლოიალური, ვინემ ეს იყო კონსერვატორების ბატონობის დროს და არ ექნება ადგილი ისეთ სულელურ გამოწვევას, როგორიც ჩაიდინა ლორდ კერზონმა.

* * *

ეხლა გადავიდეთ გერმანიის ამბებზე. გერმანიის ახალი მთავრობა შეუდგა „მუშაობას“ მისი მუშაობის მიზანია რევოლიუციის მონაპოვართა სრული ლიკვიდაცია და საშინელი რეაქციის გამეფება. ს. დემოკრატიის წყალობით ამ მთავრობამ ისევე მიიღო გაფართოებული უფლებები და შეუდგა მით სარგებლობას. აი მარქსის მთავრობის ღონის ძიებანი:

მარქსის მთავრობა საჭაროთ ამუშავებს ღონისძიებებს მოხელეთა შტატის შემცირების, შრომის ხელფასის შემცირების, სამუშაო დღის გადიდების და საბინაო გადასახადის გადიდების შესახებ.

სოციალ-დემოკრატების წინადადების თანახმად რეიხსტაგის მიერ დაარსებულია 15 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს მთავრობის ღონისძიებებს; ეს ღონისძიებები გატარებული იქნებიან ცხოვრებაში თანახმად კანონისა მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ნაციონალისტი შოლცი. სახლების მეპატრონეთ მთავრობა პირდება გააუქმოს იძულებითი სისტემა საბინაო ქირის საკითხში და შემოიღოს მშვიდობიანი დროის საბინაო ქირა. ამით გადასახადების სიმძიმე გადადის მობინადრეების ფართე მასებზე. საბინაო ქირის გადიდებით გამოწვეულ საერთო აღშფოთების გამო, მთავრობა ოფიციალურ ცნობაში იტყობინება, რომ ქირა გადიდებული იქნება თანდათანობით და მიაღწევს მშვიდობიანი დროის ნორმას, მხოლოდ მომავალი წლის ოქტომბერში.

მთავრობა ამუშავებს ზომებს, რომლის მიხედვითაც გადიდებული იქნება მუშებისა და მოხელეების სამუშაო დღე, მაგრამ მთავრობასთან წარმოებულ მოლაპარაკებაში პროფკავშირებმა ენერგიულათ გაილაშქრეს 9 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ.

შეთანხმება არ არის მიღწეული აგრედვე მოხელეების შრომის ხელფასის საკითხშიც.

ხელფასის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, ბინის ქირის გადიდება, მოხელეთა შტატების შემცირება, უმუშევართა რაოდენობის გადიდება, აი მარქსის მთავრობის ღონისძიებანი. რეაქცია მეფდება გერმანიაში, რეაქცია. იმავე დროს არ არის მთლიანი პროლეტარული ფრონტი. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ ამსტერდამის პროფ-კავშირების ინტერნაციონალის მდივანი ფიმენი:

* * *

„გაძლიერებულ რეაქციას არსად არ შეხვედრია მთლიან ბრძოლისათვის მომზადებულ პროლეტარიატის წინააღმდეგობა. მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ამბებს. რეაქციის გაძლიერებამ და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამყიდველობამ მძიმე განსაცდელში ჩაგდო საერთაშორისო პროლეტარიატი. გერმანიის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ დაიპყრობს ძალაუფლებას, როდესაც ის ანგარიშს გაუწევს წარსულ შეცდომებს და გაერთიანდება ერთ მთლიან რევოლიუციონურ ძალათ.

საბჭოთა რუსეთი საიმედო დასაყრდენია საერთაშორისო რეაქციის წინააღმლეგ იმ პირობით, თუ განვითარდება საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა. საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანაა ყოველის მხრივ დაიცვას ეს საიმედო დასაყრდენი საერთაშორისო რეაქციის წინააღმდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლა, როდესაც გერმანიაში გაიმარჯვა რეაქციამ, გაძლიერდება კაპიტალიზმის შეტევა საბჭოთა რუსეთზე. როგორც 1920 წელში საერთაშორისო პროლეტარიატი იცავდა პროლეტარულ რუსეთს და ხელს უშლიდა იარაღის გაგზავნას პოლონეთში, ასევე უნდა მოიქცეს ის ეხლაც და ყოველი საშუალება უნდა იხმაროს, რომ საბჭოთა რუსეთი არ გახდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების სიძულვილის მსხვერპლათ.

დასასრულ ფიმენმა განაცხადა, რომ მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი უნდა შეიქმნას ამსტერდამისა და მოსკოვის შეთანხმების გზით.

* * *

რეაქციის ზრდას ადასტურებს აგრეთვე მუსოლინის მიერ იტალიის პარლამენტის დათხოვნა. იტალიის მეფემ პარლამენტი დაითხოვა, ხოლო მუსოლინის უფლებები ერთი წლით გაფართოვებულია. ასეთია წესი ბურჟუაზიული დემოკრატიისა. ის თავის საქმეს აკეთებს. დასჭირდება მოიწვევს, დასჭირდება-დაითხოვს. კონსტიტუციური გარანტიები ფარატინა ქა-

ლალდია და მეტი არაფერი. მნიშვნელობა აქვს ძალთა განწყობილებას.

თავიდანვე მუსოლინის პოლიტიკა, მისი ბრძოლის მეთოდი „ბოლშევიკურ მეთოდს“ წააგავდა. მან ისწავლა ბრძოლა მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. მუსოლინი იბრძვის კიდეც პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში, როდესაც რეაქცია შეტევაზეა გადმოსული, მეორე ინტერნაციონალის გმირები გულზე ხელ დაკრეფილნი არიან, ან და რეაქციის წისქვილზე ასხამენ წყალს. დიდხანს ვერ იპარპაშებს რეაქცია და სადაცაა ამდგარი მუშათა კლასის ნიაღვარი წალეკავს მუშათა კლასის სხეულის მუწუკებს და დაამხობს ტახტებს. ეს დრო შორს არ არის.

ქრონიკა

✦ **პროვინციელ ამხანაგების საყურადღებოდ.** ჩვენ ზოგიერთი ადგილებიდან მოგვდის ცნობები, რომ იქ ჩვენი ჟურნალი „სიმართლის ხმა“ არ ვრცელდება. ჩვენ მიერ მიღებულია ზომები, რომ პროვინციის ყველა კუთხეში მიდიოდეს ჟურნალი. ამხანაგებს გევალებათ თვალ ყური ადევნოთ მის გავრცელებას პროვინციაში. სადმე თუ არ ვრცელდება, საჩქაროდ გვაცნობეთ.

✦ **გერმანიაში მყოფ** ქართველ სტუდენტთა კავშირმა შემდეგი მისალმება გამოუგზავნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს: „გერმანიაში მყოფი საბჭოთა საქართველოს სტუდენტთა კავშირის პირველი კონფერენცია სალამს უგზავნის საბჭოთა საქართველოს მთავრობას და უსურვებს გამარჯვებას კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების „საქმეში“. კონფერენციის პრეზიდიუმის წევრნი: წულეისკირი, მაუჩეიშვილი და ედიბერიძე.

✦ **მიწათ მოქმედების** სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა მიწის კოდექსის პროექტი, რომელშიაც მოქცეულია მიწის ყველა კანონები.

✦ **ნატანებ-ოზურგეთის** რკინის გზის გაყვანა უკვე დასრულდა—თვეზე მეტია, რაც ლიანდაგი გაყვანილია ოზურგეთამდე. უკვე დადის სატვირთო მატარებელი, სამგზავრო ჯერ არ დადის. ასაშენებელია ორი სადგური მერიასა და ოზურგეთში.

✦ **ამ დღეებში** გაიმართება მუშა-მგოსან გიგო ხეჩუაშვილის იუბილე. საიუბილეო კომისიას უკვე ჰქონდა რამოდენიმე სხდომა და წინასწარ სამზადისს აწარმოებს. ეს პირველი იუბილე იქნება მუშა-მგოსანის.

სხვა და სხვა ამბები.

✦ გაზ. **„შორეულ აღმოსავლეთის გზა“**-ში მოთავსებულია ღია წერილი შორეულ აღმოსავლეთის მენშევიკური ორგანიზაციების წევრებისა. წერილს ხელს აწერს 14 ძველი მენშევიკი 1904 წლიდან პარტიის წევრი. წერილში აღნიშნულია, რომ „საშუალო ხაზი უკვე არ არსებობს და არც შეიძლება იყოს: ან აქტიური ბრძოლა კომინტერნის დროშის ქვეშ, ან გზა მე-2-ე ინტერნაციონალის სამარცხვინო კაპიტულიაციისა; კომუნისტებმა პატიოსნად შეასრულეს ძირითადი ამოცანა—რუსეთის რევოლიუციის დაცვა რუსულ და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციისაგან“.

✦ **ზლატოუსტის** ორგანიზაციის მენშევიკების ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ. ეს ჯგუფი წყევლა-კრულვით იხსენიებს მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას და მოუწოდებს ყველა ყოფილ წევრებს რ. ს. დ. მ. პარტიის საბოლოო დანგრევისაკენ. ამ ჯგუფს განზრახული აქვს საოლქო ყრილობის მოწვევა.

✦ **გერმანიის რეიხსტაგი** დაითხოვეს საშობაო არდადეგებისთვის. რეიხსტაგის დათხოვნის წინ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ რკინის გზელთა დელეგატები, რომლებმაც პროტესტი განუცხადეს სოც. დემოკრატებს. დელეგატებმა განაცხადეს. „თქვენ მოღალატეები ხართ. თავისი პოლიტიკით თქვენ ხელს უწყობთ რეაქციის გამარჯვებას.

✦ **ს. დემოკრატი** გოფმანი პარტიიდან გამორიცხეს, რადგანაც მან დაარღვია პარტიის დისციპლინა და როცა კენჭს უყრიდენ კანონ-პროექტს მთავრობის უფლებათა გაფართოვების შესახებ, წინააღმდეგ მისცა ხსა.

✦ **მემარცხენე ს. დემოკრატებმა** აფგაუზერმა, ბროსმა, კრისპინმა, დიტმანმა, ლევიმ, როზენფელდმა და ზონდერმა თავი შეიკავეს მთავრობის უფლებების გაფართოვების კანონ-პროექტის კენჭის ყრის დროს. ოპოზიციის ტაქტიკას იწონებენ პარტიის ფართო მასსები. მთელი რიგი პროვინციალური ორგანიზაციებისა გადავიდა ოპოზიციის მხარეზე.

✦ **პროვინციალური ს. დემოკრატიული** პრესა აწარმოებს კომპანიას პარტიის ცეკას და რეიხსტაგის ტაქტიკის წინაღმდეგ. პრესა აღნიშნავს, რომ პარტიის ბელადებმა გაჰყიდეს პროლეტარიატის ინტერესები და ქედი მოიხარეს სამხედრო დიკტატურის წინაშე.

✦ **მუსოლინმა** განაცხადა, რომ იტალიისათვის მეტად ხელსაყრელი და სასარგებლოა საბჭოთა რუსეთის იურიდიული ცნობაო.

✦ **ს. დემოკრატიული** პარტიის ბერლინის ორგანიზაციის ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა პარტიის ცეკას.

✦ **ინგლისის** საპარლამენტო არჩევნებში კონსერვატორები დამარცხდნენ. გაიმარჯვა მუშათა პარტიამ და ლიბერალებმა. შესაძლებელია მუშათა პარტიამ ძალა-უფლება აიღოს ხელში.

წერილები რედაქციის მიმართ.

ჟურნალ „სიმართლის ხმის“ უახლოვეს №-ში მოათავსოთ ჩემი გულწრფელი განცხადება:

მიუხედავათ იმისა, რომ ივნისში მქონდა გაზეთ „მუშის“ ერთ-ერთ №-ში განცხადება, რომ ვანებებდი თავს მენშევიკურ პარტიას და ვრჩებოდი ყოველივე პოლიტიკურ პარტიათა გარეშე, ჩემთვის მაინც გამოურკვეველი იყო ჩემი მოქმედება და ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, თუ რატომ უნდა ჩამოვშორებოდი იმ არ არსებულ პარტიას, რომელიც სულს ღაფავდა და 28 აგვისტოს დაიმარხა კიდეც. მაგრამ შემდეგ დაკვირვებით და ყოველივეს აწონ დაწონით მიველ იმ დასკვნამდე, რომ ჩემი ასე შორიდან მზერა იმ საერთო საქმისათვის, რომელიც მომავლისთვის ბედნიერებას გვიქადის, დაუშვებელია, უნდა მოკვდეს ჩემში ყოველივე ქინიანობით გატაცება და დღეიდან ვსდგები ახალ საფეხურზე, რომელსაც ჰქვიან III ინტერნაციონალი, ვუერთებ რა ჩემს გულრწფელ ხმას იმ 12,000 მუშის, ყოფილ მენშევიკების ყრილობას. ვიზიარებ მის მიერ გამოტანილ ყოველივე დადგენილებებს და ხელს შეუწყობმუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ყოველმხრივ.

ონისიმე ყანდარელი

—:—

მე ვირიცხებოდი 1905 წლიდან 1919 წლამდე მენშევიკურ პარტიის წევრათ, 1919 წელს კი ვიყავი გამორიცხული პარტიიდან, როგორც არასაიმედო პირი პარტიისათვის. როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, მენშევიკურმა პარტიამ მე წინადადება მომცა მემუშავნა პარტიაში, მაგრამ უარი განვაცხადე, მას შემდეგ უკვირდები რა კომუნისტური პარტიის საქმიანობას, დავრწმუნდი, რომ ის არის ნამდვილი დამცველი მუშების და გლეხების ინტერესების. ამისთვის სასტიკ პროტესტს უცხადებ მენშევიკურ პარტიას, რომელიც მუშებს და გლეხებს მიაქანებდა დამღუპველ გზისაკენ. დღეიდან ვდგები ეე-III-მე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მას დავიცავ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. მოუწოდებ ამხანაგ მუშებს, რომლებიც კიდევ მერყეობას განიცდიან, ჩამოშორდნენ მატყუარ მენშევიკებს და დაირაზმონ მე-III-მე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

მუშა **იოსებ ლაფაჩიძე.**

———

დღეს ჩვენ გვმართებს გულახდილობა: საჭიროა აღნუსხვა იმ მომენტების, რომლებმაც მიგვიყვანეს სინამდვილესთან განთიშვამდე. მათ შორის მე მხოლოდ დავასახელებ სამ უმთავრეს: 1) მენშევიკურ პარტიის „დემოკრატიზმი“ (დახვეწილ სახის დრო მოჭმული რეფორმიზმი). აქედან არ მიღება პროლეტარიატის დიქტატურისა, თუნდ, როგორც გარდამავალი ფორმის, რევოლიუციონური ქარტეხილზე. 2) აქედან გამომდინარე მენშევიკურ პარტიის როგორც საქართველოს მმართველი პარტიის. ყალბი ინსუნვაციები—და ინფორმაცია საბჭოთა რუსეთის სინამდვილის. 3) მენშევიკურ პარტიის მეტათ გატაცება ამ ერთათ ერთი პუნქტის შენარჩუნების და მოქმედ საერთაშორისო მასშტაბით პოლიტიკურ პარტიის —კომუნისტურ პარტიასადმი, როგორც მეტოქესადმი, ორგანიული ანტიპატია. აქედან პოლიტიკური სიბეცე საერთაშორისო ძალთა დაჯახების ათვისებისა, რომლიდანაც მხოლოდ ერთი უდაო ჭეშმარიტება გამომდინარეობს: დღეს პატარა ერთა სვებედი იმიჯნება და წყდება ამ კოსმიურ ქარტეხილში ძალთა განწყობილებით და მათი შეთანაბრებით. იმდენათ ძლიერი იყო მენშევიკურ პარტიის ანტიპატია საბჭოთა რუსეთის კომუნისტურ პარტიისადმი, როგორც მოწინააღმდეგე პოლიტიკურ მიმდინარეობისადმი, რომ ნებით თუ უნე-

ᲑᲚᲘᲔᲗ მოვხვდით ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡ ქვეშ.

დღეს ეს ყოველივე წარსულს ეკუთვნის. როგორი უნდა იყოს თვითეულ პატიოსან რევოლიუციონერ მარქსისტის პოზიცია დღეს?

არალეგალური საქმიანობა, თუ განმტკიცება საბჭოთა ხელის უფლების? ამის გადასაჭრელათ საჭიროა უკანასკნელის შეფასება.

ლაკონიურათ შემდეგის აღნიშნა შეიძლება: მენშევიკურმა ინფორმაციამ, რომლის იქით არ მიდიოდა ჩვენი კრიტერია საბჭოთა რუსეთის შეფასებისა—სრული ბანკროტი განიცადა. დღეს ჩვენსა და საბჭოთა რუსეთის თვალ-უწვდენელ სივრცეზედ, თითეული არა ღვარძლითა და ᲯᲘᲜᲘᲗ დაბრმავებული, დაინახავს უდიდეს სამეურნეო მშენებლობითი მუშაობას. მე ვგონებ, კონკრეტ მაგალითების მითითება (თუნდ გზებისა, არხებისა, ლიანდაგებისა, ხიდებისა, ელექტრონის სადგურისა და ტრამვაის სახით), ზედმეტი იქნება, ეს ჩვენი ცხოვრების ისეთი ფაკტებია, რომლის თვალ-ნათლივ დანახვა თვითეულ მოქალაქეს შეუძლიან. მათ, ვისაც მეტათ აფიქრებდა რუსეთის სოციალისტურ ზომათა დადებითი შედეგი, როგორც დაბალი სამეურნეო ქვეყნისა, დღეს ურწმუნო თომაც კი მიხვდება, რომ კაპიტალისტური ეტაპები, კაპიტალის კონცენტრაცია, ერთ მუჭა კაპიტალისტთა ხელში, ეს მხოლოთ ჩაგვრის გახანგრძლიეების სურვილის მაჩვენებელია, სახელმწიფოებრივი ინიციატივა—და ელექტროფიკაცია ეს ის ორი ფაქტორებია რუსეთის სინამდვილისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მას, კვლავ ბურჟუაზიის ბატონობისაგან.

დღეს მსოფლიოში გარკვევით ᲩᲛკაფიოთ ინაკვეთებიან ორი მოსისხლეთ განწყობილი ძალა: ფაშიზმი და კომუნიზმი, ვინც თვალს დევნებდა დასავლეთ ევროპის უახლოეს ამბებს, კერძოთ გერმანიისას, ის დამეთანხმება, რომ ეს ქვეყანა, კლასიკური სოციალ-დემოკრატიული ქვეყანა, სრულიად ასცდა ამ პარტიის გეზს. გერმანიის „დიდ“ ამბებში, ფაშიზმისა და კომუნიზმის შეჯახებებში, სოციალ-დემოკრატია სრულიად გაირიყა, ან და პასიურობიდან გამოსული მუდამ სდგამდა მუშათა კლასისათვის საზარალო უტაკტო ნაბიჯებს. აქედან ერთათ ერთი ლოგიკური დასასკვი არსებობს:

არა ᲰᲔᲠ ᲥᲕᲔᲨ მუშაობა და მებრძოლ რევოლიუციონურ პარტიის ძალთა დაქსაქსვა უნდა აინტერესებდეს თვითეულ პატიოსან მარქსისტს, არამედ მისი განმტკიცება, და თუ არსებობს ნაკლი. მათი გაᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲐ.

ამ იმედით მე უერთდები ყოფილ მენშევიკთა სამართლიან ნაბიჯს და მთელი ჩემი ორსებით უბადლო დამცველი ვიქნები მე-III-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის და ერთგული ᲯᲐᲠᲘᲡ კაცი კომუნისტური პარტიის.

ყოფილი მენშევიკი 1917 წ. **ᲕᲐᲡᲘᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲔᲕᲘᲫᲔ.**

მე ვირიცხებოდი საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრად 1918 წლიდან. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ არავითარ პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია, მთელი ჩემი აზრითა და გონებით თვალყურს ვადევნებდი საბჭოთა მოღვაწეობას საქართველოში, რამაც მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქ. ახალგაზრდა მარქსისტების არალეგალური მოქმედება იყო გაუგებრობაზე აგებული. დღეს კი, როცა ეს ახალგაზრდობა უბრუნდება თავის რევოლიუციონურ ოჯახს, მე-III ინტერნაციონალს მეც მინდა ჩემი ხმა შეუერთო მათ. ვიზიარებ ყველა მათი ყრილობების რეზოლიუციებს, დადგენილებებს და ვდგები III-მე კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲖᲐᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ.

გთხოვთ თქვენი ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „სიმართლის ხმა-“ს მახლობელ №-ში მოათავსოთ შემდეგი: რომ სრული ჩემის შეგნებით უერთდები საქ. სოც. დემ. მუშათა პარტიის 25—30 აგვისტოს ყრილობის დადგენილებებს და ყოველივე ძალღონეს ვიხმარ მისი პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლათ.

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ „ᲡᲮᲘᲕᲔᲚᲗᲐ“ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ჩვენ, საქართველოს დამოუკიდებელი ს. დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა კავშირის წევრები, ვაცხადებთ, რომ სრულიად საკავშირო მაშტაბით კომუნისტურმა პარტიამ შესძლო მშრომელი ხალხის მიმხრობა და მით შეინარჩუნა ძალა უფლება.

დემოკრატიზმის თაყვანისმცემლები ამ ფაქტს ძალადობათ ხსნიდენ. საბჭოთა წყობილება მათი აზრით იგივე ნიკოლოზის რეჟიმია.

მაგრამ, ჩვენ ვიცით, საბჭოთა წყობილების მოწინააღმდეგეებს უნდოდათ მისი დამარცხება და ამისათვის არაფერს ერიდებოდენ, სწორედ ამ მიმართულებით მუშაობამ მოუღო მათ ბოლო, გაუტეხა საბოლოოთ ნდობა მუშათა და გლეხთა ფართო მასსებში და საუკუნოთ დაასამარა.

მთელ კავშირში დაინგრა ანტისაბჭოთა ფრონტი. მშრომელი ხალხი კომპარტიას ამოუდგა გვერდში და შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას.

გამაგრდა საბჭოთა წყობილება.

მთავარი ფაქტორი კომპარტიის მიერ მშრომელი ხალხის მიმხრობისა არის მუშათა და გლეხთა საარსებო ინტერესების დაცვა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე ადგილობრივმა ანტი-საბჭოთა პარტიებმა დაიკავა მის მიმართ აშკარა მტრული პოზიცია.

ანტი-საბჭოთა პარტიებში მოექცა საქ. დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიაც.

სამწუხაროდ „სხიველებმა“ საბჭოთა წყობილება ჩვენში უარყოფითად შეაფასა.

მან არჩია მენშევიზმი ბოლშევიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხებში ის ბოლშევიკებთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე მენშევიკებთან.

ის გაჰყვა მენშევიკებს, მაგრამ აქაც რყევას განიცდიდა, რითაც აიხსნება ამ პარტიის შედარებით უძლურება და უმოქმედობა.

ეხლა, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში გაბატონებულ რეაქციას მკაცრი იერიშები მოაქვს მუშათა კლასზე, როდესაც ის სცდილობს საერთაშორისო მუშათა კლასის დამონებას, კოლონიათ გადაქცევას და სინამდვილეში არ არის არც ერთი პარტია გარდა კომუნისტებისა, რომელსაც შეუძლია მშრომელი ხალხის ხელმძღვანელობა, ყოველგვარი რყევა, განსაკუთრებით ჩვენში, არის მუშათა კლასის ღალატი.

ამიტომ ჩვენ უერთდებით იმ გზას, რომელზედაც შესდგა ყოფილი მენშევიკები.

ის გზა, რომელზედაც დაადგა „სხიველთა ᲯᲒუფი“, მშრომელი ხალხისთვის მიუღებელია.

ჩვენ უარვყოფთ მას.

ვსდგებით საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან მჭიდრო კავშირის ნიადაგზე და ვიზიარებთ ყველა მის პრინციპებს.

მოუწოდებთ ყველა წევრებს საქართველოს დამოუკიდებელ სოც. დემოკ. პარტიისა—ვინც ᲯᲔᲠ კიდევ არ დამდგარა ამ გზაზე ხელაღებით, ერთხელ და სამუდამოთ გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ანტი-საბჭოთა, კონტრრევოლიუციონურ ფრონტთან და შეუერთდენ რევოლიუციას.

ეს არის ვალი ყოველი გულწრფელი და პატიოსანი რევოლიუციონერისა.

1. **დ. ცინციბაძე**, 2. **მ. კიკნაძე**, 3. **ლ. ცკიტიშვილი**, 4. **ა. თევზაძე**, 5. **ხ. მერებაშვილი**, 6. **გ.ბარბაქაძე**, 7. **პ. აფხაიძე**, 8. **ბ. აბულაძე** 9. **ა. მურაჩაშვილი**, 10 **ჭ. თევზაძე**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ:

ამხ. ს. დობორᲯგინიძეს და **ილ. გიორგაძეს** ვსთხოვთ საჩქაროდ შემოიაროონ რედაქციაში.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.